ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐᲡ?

—ᲐᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 199 (727) შაბათი, 11 სექტემბერი, 1993 წელი ფასი 25 კუპონი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲕᲔᲢᲘ

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავებასთან ერთად მკვეთრად გაუარესდა კრიმინოგენური სიტუაცია. შეიარაღებული ბანდები, ორგანიზებული დამნაშავეობა კარგად იყენებენ პოლიტიკური დაპირისპირებით შექმნილ მდგომარეობას და ხშირად რომელიმე დაპირისპირებული მხარის სახელით ახორციელებენ ბანდიტურ თავდასხმებს, დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, თავისუფლად და დაუსჯელად მოქმედებენ საკუთარი, ხშირად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მიზნების განსახორციელებლად.

ბანდიტურ ფორმირებებთან, ნარკობიზნესთან, ტერორიზმსა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, მათ შორის ეკონომიკურ დივერსიებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა ოპერატიული შტაბი საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის, გენერალ-მაიორ შოთა კვირაიას ხელმძღვანელობით.

შტაბის მიერ დაგეგმილი ოპერაციების განსახორციელებლად შეიქმნა ოპერატიულ ინფორმაციაზე რეაგირების მობილური შენაერთი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს მობილური შენაერთის აღჭურვას და განლაგებას ოპერატიული შტაბის მიერ წარმოდგენილი საბრძოლო განრიგის შესაბამისად. ოპერატიული შტაბის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას განახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო.

ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

8 სექტემბერს რუსეთის მხარემ დაიწყო „მოზდოკ-ვლადიკავკაზის" გაზის მაგისტრალის უბანზე სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები, რის შედეგად ბუნებრივი გაზის მოწოდება საქართველოში მკვეთრად შემცირდა. მაგრამ მეორე დღის საღამოსათვის ეს სამუშაოები დასრულდა და 10 სექტემბრის დილისათვის გაზის მოწოდება ნორმალური იყო.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ...

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲨᲘ დამთავრდა საქართველოს ახლანდელი და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების პირველი ეტაპი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ შეიმუშავეს პროექტი შეთანხმებისა საქართველოში პოლიტიკური მეთოდებით შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების შესახებ.

ამ შეთანხმებას ხელი მოაწერა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის დელეგაციამ. უკანასკნელ მომენტში მეორე მხარემ უარი თქვა მის ხელმოწერაზე.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ" ᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲤᲐᲥᲢᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲨᲕᲔᲚᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს არაერთხელ დასდგომია საბედისწერო და ტრაგიკული წუთები. და სწორედ მაშინ მოუხმობდა ხოლმე ქართველი კაცი თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სიბრძნეს და სამშობლოს გადარჩენისათვის მზად იყო ყველაზე ძვირფასიც კი გაეღო. ქუდზე კაციო! — იტყოდა ქართველი და მართლაც ქუდზე კაცი აღდგებოდა ქვეყნის დასაცავად.

სწორედ ამ წმინდა გრძნობამ — მამულის გრძნობამ, დიდმა პასუხისმგებლობამ ერისა და ქვეყნის წინაშე შეკრიბა 10 სექტემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში თბილისელი მოქალაქეები. ეს შეკრება საოცარი დადასტურება იყო იმისა, როცა ერი და ბერი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, განურჩევლად თავისი მრწამსისა, პოლიტიკური შეხედულებისა და ასაკისა, სამშობლოს ბედზე დაფიქრებული, ერთსულოვნად გამოხატავდა მზადყოფნას, რომ ერთმანეთს მხარი მივცეთ, გავერთიანდეთ და საქართველო გადავარჩინოთ.

შეკრებაზე გამოსულებმა — პოეტმა რეზო ამაშუკელმა, პარლამენტარებმა თენგიზ კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა, ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა დავით შეყილაძემ, სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, სხვებმა ილაპარაკეს იმ დიდ საფიქრალზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის გადარჩენა ჰქვია, ქვეყანაში წესრიგისა და პატიოსნების აღდგენა ჰქვია.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა — პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. მან მადლობა გადაუხადა თბილისელებს, საზოგადოება „თბილისელს" იმისათვის, რომ ისინი ასეთი ინიციატივით გამოვიდნენ და წარმოთქვეს სიტყვა, რომელსაც ელოდება საქართველო.

— დღევანდელი შეკრება ხალხის პარლამენტია, სიბრძნის, გამბედაობის პარლამენტი, თანამოაზრეთა საუბარი, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა.—ეს მზადყოფნა, რომ საქმით დავიცვათ ერთობა, მთელმა საქართველომ, მისმა ყველა კუთხემ უნდა ნახოს. თბილისელთა ამ ბრძნული საუბრის მთავარი მიზანი ის არის, რომ ვუშველოთ საქართველოს. დღეს თითოეული ჩვენგანი, სადაც უნდა იყოს იგი, ვალდებულია ბოლომდე ემსახუროს ქვეყანას.

დადგა დრო, რომ დამთავრდეს დემაგოგია, პოპულიზმი, ცრუ ეროვნული მოძრაობა. ერისკაცი დღეს ის არის, ვინც ფუტკარივით შრომობს, მიუხედავად იმისა, რომ ეს შრომა ზოგჯერ უსაფრთხო არ არის. ერისკაცია ის, ვინც პოლიციის რიგებში ჩადგება ყოველგვარი ანგარების გარეშე, ვინც იბრძოლებს ქვეყნის ეკონომიკის გადასარჩენად, ვინც გაყინულ საკლასო ოთახში გაკვეთილებს ბოლომდე ჩაატარებს... დადგა დრო, რომ ქართველებმა ვიკითხოთ — ვინ ვართ ჩვენ? გვეყო ლაპარაკი ჩვენს უზარმაზარ წვლილზე კაცობრიობის განვითარებაში. რა დაგვემართა, რატომ გაგვიჩნდა სურვილი, რომ ერთმანეთი არ დავინდოთ.

ნუთუ არის ისეთი პრობლემა, — მიმართა სახელმწიფოს მეთაურმა სამეგრელოს მოსახლეობას, — რომ ერთმანეთს ვერ გავუგოთ? ვერ დავილაპარაკოთ? ნუთუ განწირულია საქართველო? მე მჯერა, რომ ჩვენი სისხლი, ჩვენი ქალაქი, სამშობლო ჩვენი არ გადაშენდება. როგორი ძნელიც უნდა იყოს — უარი ვთქვათ ვილაპარაკოთ იარაღის ენით.

მე საკმარისზე მეტად მაკრიტიკებენ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მიღებული შეთანხმების გამო, მაგრამ ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო. უნდა ვადროოთ ერთმანეთს, ვიფიქროთ, ვიაზროვნოთ. მხოლოდ ჩვენთანაა. ყოფილი საბჭოთა კავშირის არცერთ ქვეყანაში ისე ბარბაროსულად არ მოქცეულან, როგორც ჩვენ მოვექეცით ჩვენივე საკუთარ ქონებას. რა დაგვემართა, ვეკითხები ჩემს თავს. ვერავითარი პატრონი ამას ვერ მოუვლის, თუკი თბილისელებივით არ გავერთიანდით.

ალბათ, კვირას, მე გამოვაცხადებ საგანგებო მდგომარეობას. საგანგებო მდგომარეობა — ეს წესრიგია, ამაზე უარესი, რაც ახლა გვჭირს, არ დაგვემართება, თუნდაც ერთი, ორი ან მეტი თვე დაგვჭირდეს. ყველას მოვუწოდებ წესრიგისკენ. საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონი პარლამენტმა უნდა მიიღოს. პარლამენტარები უნდა გაემგზავრონ იქ, საიდანაც ისინი აირჩიეს და ჩაუდგნენ სათავეში მოძრაობას საქართველოს გადასარჩენად. ყველაზე დიდი პარლამენტი საქართველოს ხალხია.

ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი პარტია. ეს პარტია იქნება ახალი პოლიტიკის დამამკვიდრებელი. ის პროცესები კი, რომლებისთვისაც მხოლოდ ალიარა ჩვენი ქვეყანა, შეუქცევადი იქნება.

ᲤᲝᲢᲝ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ᲐᲥ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲘᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ...

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ცნობილი გახდა საინფორმაციო სააგენტოთა, პრესისა და ტელევიზიის ცნობებიდან, დამთავრდა საქართველოს ჯავშანტექნიკისა და არტილერიის გამოტანა კონფლიქტის ზონიდან. სამხედრო აღჭურვილობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოხუმიდან ფოთში გადაიტანეს რუსეთის ფლოტის დიდი სადესანტო ხომალდის მეშვეობით.

მეთვალყურენი გულდასმით უწევდნენ კონტროლს მძიმე ტექნიკის ტრანსპორტირების, დატვირთვისა და გაზიდვის გრაფიკს.

ბორის ხოკოლოვის ფოტორეპორტაჟი (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

[illegible]

- ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ. 2
- „ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲛᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ, ᲙᲔᲞᲘᲐᲜᲘ ᲥᲣᲓᲘ ᲛᲝᲘᲮᲐᲓᲐ"... 3

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ თეიმურაზ გოგოლაძე ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 9 სექტემბერი, 1993 წ.

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით დამტკიცდა დებულება საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში სამსახურის შესახებ.

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ

9 სექტემბერს სოხუმში ჩამოვიდა სამხედრო მისიის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფის ხელმძღვანელი ბრიგადის გენერალი ᲯᲝᲜ ᲕᲘᲓᲔᲒᲐᲐᲠᲓᲘ. აფხაზეთში მისი ჩამოსვლის მიზანია, ადგილზე შეისწავლოს ვითარება და გაშალოს კონფლიქტის ზონაში გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა საქმიანობა. უფრო ადრე, აფხაზეთში ჩამოვიდა გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მეწინავე ჯგუფი მაიორ კრის ხოლბის ხელმძღვანელობით, რომლის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ სამმხრივ საფუძველზე შექმნილ დროებით საკონტროლო ჯგუფებთან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე 1993 წლის საშემოდგომო გაწვევა დაიწყოს ამა წლის 15 სექტემბერს და გაგრძელდეს 1 დეკემბრამდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში გაწვეულ იქნენ 18-დან 25 წლის ასაკამდე წვევამდელები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლება და საექიმო კომისიების მიერ ცნობილი არიან ვარგისად სამწყობრო სამხედრო სამსახურისათვის.

3. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საქალაქო, რაიონული გასაწვევი და საექიმო კომისიები, რომლებსაც ადგილებზე უხელმძღვანელონ რეგიონების სამხედრო კომისარიატებმა. მათ მუშაობას ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკის გასაწვევმა და საექიმო კომისიებმა.

4. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ორგანიზაცია გაუწიოს ქალაქებისა და რაიონების საექიმო კომისიების დაკომპლექტებას მაღალკვალიფიციური ექიმ-სპეციალისტებით და საექიმო კომისიების აღჭურვას საჭირო მედიკამენტებითა და აპარატურით, წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევისათვის სათანადო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების გამოყოფას, გამოკვლევის ჩატარებას უფასოდ და დადგენილ ვადებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის ჯანმრთელობის ვარგისიანობის განსაზღვრასა და ამ მიმართულებით სამკურნალო დაწესებულებებისა და სამედიცინო კომისიების მუშაობის ობიექტურობას.

5. საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა — მერიებმა, გამგეობებმა და საკრებულოებმა საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გამოუყონ ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარიატებს შენობები, ტექნიკური მუშაკები, ავტოტრანსპორტი და საწვავი ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე წვევამდელთა სამხედრო კომისარიატებში დროულად გამოცხადების უზრუნველსაყოფად, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად აქტიური დახმარება გაუწიონ სამხედრო კომისარიატებს გასაწვევ უბნებში წვევამდელთა დროულ გამოცხადებაში, წვევამდელთა გაწვევის ორგანიზაციის სხვა საკითხების გადაჭრაში.

წვევამდელთა ორგანიზებულად შეტყობინებისათვის რაიონებისა და ქალაქების გამგეობებთან და სამხედრო კომისარიატებთან შეიქმნას შესაბამისი შტაბები.

6. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს წვევამდელთა შეუფერხებლად გადაყვანა სამხედრო კომისარიატებისა და სამხედრო ნაწილების მეთაურების განაცხადების საფუძველზე.

7. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა დააწესოს მკაცრი კონტროლი რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისარიატების მუშაობისადმი, ორგანიზაცია გაუწიოს რესპუბლიკის გასაწვევი და საექიმო კომისიების საქმიანობას, დროულად აღმოფხვრას ყოველგვარი ნაკლოვანებანი მათ მუშაობაში.

8. საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სისტემატურად გააშუქონ წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევის მიმდინარეობა.

9. რაიონებისა და ქალაქების სამართალდამცველმა ორგანოებმა უზრუნველყონ კანონით გათვალისწინებული ზომების განხორციელება იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს.

10. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა გაწვევის მსვლელობა და მისი შედეგები მოახსენოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

11. შეიარაღებულ ძალებში სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც გაიარეს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურის ვადები. სამხედრო მოსამსახურეების დათხოვნა განახორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

Ო. ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1993 წლის 10 სექტემბერი.

ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲜᲣ ᲕᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲗ!

ᲛᲗᲔᲚᲘ საქართველო, ყოველი ქართველი, ვისაც ამ საყოველთაო დაქვეითების, ზნეობრივი დაცემის ეპოქაში სინდის-ნამუსი კიდევ შერჩენია, გაოგნებული და შეძრწუნებულია. რა ხდება? სიკეთისა და თავისუფლების ამ ნანატრ დროს, როდესაც ყოფილ საბჭოთა კავშირში გამომწყვდეულმა ერებმა, მათ შორის ქართველობამ, უღელი გადაიგდეს და ძლივს შვებით ამოისუნთქეს, რა ემართება ჩვენს ხალხსა და ქვეყანას? რა უდევს საფუძვლად ძმათა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას? აკი 9 აპრილს ყველა ერთად ვიყავით და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმულნი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ვიბრძოდით? რისთვის გახლეჩილა საზოგადოება ორ ნაწილად, რისთვის გვემუქრება კარზე მომდგარი სამოქალაქო ომი, რა ვერ გავიყავით? რისთვის დამდგარან ერთმანეთის პირისპირ ქართველთა შეიარაღებული ძალები ცხენისწყლის გაღმა-გამოღმა მხარეს? რა შუაშია ეს პატრიოტი ახალგაზრდები, ავტომატები რომ ჩაუბღუჯავთ და უკანასკნელ ბრძანებას-ღა ელიან, რომ ერთმანეთი გაიმეტონ? იცის თუ არა ქართველმა ერმა, იციან თუ არა ამ სასიკვდილოდ გამეტებულმა ჭაბუკებმა, რაზეა დავა, რისთვის იწირება ათასობით თანამემამულის, ერის მომავლის სიცოცხლე?

არა, არ იცის! ჯერ ყველა საგანს თავისი სახელი არ დარქმევია!

საქმე ეხება ერთადერთ სავარძელს! ვინ ჩაჯდება ამ სავარძელში და მის კვალობაზე ვინ დაიკავებს სხვა, უფრო მომცრო სავარძლებს, მიუხედავად იმისა, შესწევს თუ არა უნარი, ჭირნახული ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანოს ქვეყანა, დაიხსნას იგი ფიზიკური განადგურებისაგან. არა აქვს არავითარი მნიშვნელობა არც რეფერენდუმს, არც საერთაშორისო მეთვალყურეების თვალწინ ჩატარებულ დემოკრატიულ არჩევნებს, არც მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, არაფერს, არაფერს არა აქვს მნიშვნელობა. მტყუანი და მართალი, როგორც ჩანს, ავტომატმა უნდა გაარჩიოს, მაგრამ განა ისინი გამოდიან ცეცხლის ხაზზე, ვისაც სავარძელი ელოდება, მათ წინ დემაგოგიით გაბრუებული, გზას აცდენილი, ანდა დაშინებული თანამემამულენი, იგივე ზარბაზნის ხორცი უყენიათ და ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლეს ამოფარებულნი დასახული მიზნისკენ წარბშეუხრელად მიიწევენ!

თუნდ განახევრდეს საქართველო, თუნდ გამეოთხედდეს, თუნდ ერთ კუთხემდე და ერთ სოფლამდე დავიდეს, ზოგიერთის თვალში ის მაინც საქართველო იქნება და მოიპოვება ქვეყნად პიროვნება, ქართველი, ჩვენი სისხლი და ხორცი, ვინც ამგვარი საქართველოს პრეზიდენტობას არ ითაკილებს. მთავარია, კაცს პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური ერქვას და სულ ერთია, რის პრეზიდენტი იქნება, მაღალგანვითარებული, მსოფლიოში პატივცემული კულტურული ქვეყნისა, თუ უკიდურესად ჩამორჩენილი, ათასი ყაჩაღის მიერ გაძარცვული, შინა ომებში გაჩანაგებული, შიმშილობის ზღურბლზე მისული, შინაურ და გარეშე მტრებისაგან მასხარად აგდებული სახელმწიფოსი.

ძნელია კაცმა დაიჯეროს ასეთი პიროვნების არსებობა, მაგრამ უფრო ძნელია ირწმუნო, რომ არსებობს ქვეყანაში ათასობით ადამიანი, ვისაც მიაჩნია, რომ ქვეყნის სათავეში სწორედ ის უნდა იდგეს, ის, ვისაც მშობელი ერი და ქვეყანა თავისი სავარძლის გულისათვის განწირული ჰყავს, ვინც ათასობით მკვლელსა და მძარცველს აგზავნის საკუთარ სამშობლოში, ვისაც თავისი მშობლიური ქვეყანა ისე ვერ წარმოუდგენია, თუ მის სათავეში თავად არ იქნება!

უნახავს ვინმეს სადმე და მით უმეტეს დემეტრე თავდადებულის, ლუარსაბ მეფის და ქეთევან დედოფლის საქართველოში, ერი და ქვეყანა პიროვნების ამბიციებს, მის ყოვლად დაუმსახურებელ განდიდებას შესწირვოდეს? თუ თავად პიროვნებამ სინდისზე ხელი აიღო და მზადაა, სამშობლოც და ერიც თავის პირად აღზევებას ანაცვალოს, არ უნდა ვიკითხოთ, სადაა თვით ერი, ვის თავზედაც ისტორიის დოლაბი ტრიალებს, სადაა მისი ფხიზელი გონება, მისი თავმოყვარეობა, ელემენტარული საღი აზროვნების უნარი?!

ᲮᲛᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲝᲜᲐᲓ

ნუთუ ყველაფერი ერთად დავკარგეთ და ახლა, ოღონდ კი ვაამოთ ჩვენს გულის რჩეულს, თვალდახუჭული უფსკრულში მივექანებით?

ვაი რომ ასეა და ჩვენი გადარჩენა ახლა მხოლოდ ღვთისაგან მოვლენილ სასწაულს შეუძლია!

მთელი საქართველო, ქართველთა დამოუკიდებელი სახელმწიფო ძაფზე გამობმულ საგანსა ჰგავს, რომელიც სივრცეში ჰკიდია და საკმარისია გაწყდეს ღვთისაგან ბოძებული ეს ძაფი, როგორც ზღაპარშია ნათქვამი, უფსკრულში ისე ჩავინთქებით, ჩვენს ახავალ-დასავალს ყვავ-ყორანიც ვეღარ მიაკვლევს!

ამას რომ ვამბობ, ვისიმე აკვიატებული სიყვარული როდი მალაპარაკებს, მალაპარაკებს რეალობის გრძნობა, საღი აზრი, რომელიც მეტნაკლებად ყველას გააჩნია, ვინც ღმერთმა არ დასაჯა და გონი მთლად არ წაართვა!

საქართველოს შვილები, ყველა ერთად, წაღმართნიც და უკუღმართნიც, ვინც ღმერთმა ერთ მიწა-წყალზე, ერთმანეთის გვერდით დაგვასახლა, წინდაუხედავად ვეჯაჯგურებით ამ ძაფს, უგუნური აღტკინებით ვცდილობთ მის გაწყვეტას და არ გვინდა, რეალობას თვალი გავუსწოროთ, წარმოვიდგინოთ, ამას რა მოჰყვება.

შევუშვათ თუ არა თავში, დაიჯეროს თუ არა ერმა და ბერმა, წაღმართმა და უკუღმართმა, რომ ეს ძაფი, ერთადერთი საიმედო საყრდენი, რაც სივრცეში გვამაგრებს, ედუარდ შევარდნაძეა, კანონიერ დემოკრატიულ არჩევნებში ქართველმა ხალხმა სახელმწიფოს მეთაურად რომ აირჩია, ხოლო უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, პარლამენტმა, იგი საგანგებო უფლებებით აღჭურვა!

— გადადგეს შევარდნაძე! — გაჰყვირის მავანის ფეხისხმას აყოლილი რამდენი ვიგინდარა და ამას იმეორებს სავარძლის მაძებარ უმეცართა მიერ გაბრიყვებული მასა, კბილებამდე შეიარაღებული რომ დამდგარა ცხენისწყალს გაღმა და თუ ეს კატეგორიული, ქვიშაზე აშენებული მოთხოვნა არ შევასრულეთ და „მერცხალა ბიჭს" სავარძელი არ გავუთავისუფლეთ, სამშობლოს წალეკვით გვემუქრება.

კარგი, ვთქვათ, გადადგა შევარდნაძე. ეს ძნელი საქმე სულაც არ არის, რადგანაც ჯოჯოხეთი, რაშიაც საკუთარი ნებით ჩავარდა, პირადად მას არაფერში სჭირდება, მაგრამ, ხუმრობაგამოშვებით, ვინ შეიძლება დადგეს მის ადგილზე, ვის შეუძლია დღეს მისი შეცვლა, ამაზე თუ გვიფიქრია? ნათლად გვაქვს თუ არა წარმოდგენილი „შევარდნაძის ფენომენი", რომელიც დედამიწის ხუთსავე კონტინენტზე კარგად ცნობილია, მხოლოდ ერთი ციცქნა საქართველოა გამონაკლისი, თითქოს ის სადღაც ამ სამყაროს მიღმა იმყოფებოდეს. ვიცით თუ არა, როგორ მოვიხმართ შევარდნაძის ტალანტს, კულტურული მსოფლიო ამით ქართველი ერის ინტელექტუალურ რეიტინგს შეაფასებს?

გვიფიქრია თუ არა იმაზე, რომ ედუარდ შევარდნაძის წასვლით, ე. ი. გადადგომით საქართველო სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში აღმოჩნდება, გაცილებით მეტ იზოლაციაში, ვიდრე ქვეყნის სათავეში მის მოსვლამდე იყო, რომ გაწყდება და დავიწყებას მიეცემა საერთაშორისო კავშირები, რომ აქეთ აღარავინ გამოიხედავს, მათ შორის არც მსოფლიო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა ამერიკის შეერთებული შტატები, ავანსცენიდან ჯურღმულში გადავინაცვლებთ, იმპერიალისტური რუსეთი თავს აიშვებს, ხოლო მანამდე ლუკმაპურის უქონლობით გაგიჟებული საქართველოს მოსახლეობა ერთმანეთს დაჯამს?!

ყოველივე ამის გამო პასუხისმგებელი ვინ იქნება, ან ვისიმე პასუხისმგებლობა ვის რას უშველის, როდესაც ერი და ქვეყანა პირისაგან მიწისა აღვიგვებით?

თუ უფიქრიათ ყოველივე ამის გამო იმათ, პარლამენტის ტრიბუნაზე რომ გამოდგებიან ხოლმე, სიძულვილის შხამს ანთხევენ და ჰგონიათ რომ სიძულვილი ერთადერთი მასალაა ქვეყნის ასაშენებლად!

არა, ძვირფასო თანამემამულეებო, სიძულვილით, ასე რომ გაუდგამს ფესვი ქართულ ნიადაგში, ჩვენს საზოგადოებაში და პარლამენტში, არასოდეს არაფერი აშენებულა, პირიქით, აშენებულიც დანგრეულა!

ცეცხლს ნუ ვეთამაშებით! ნუ დაგვავიწყდება, რომ ისტორია ჩვენს თვალწინ იქმნება, ჩვენვე ვქმნით ამ ისტორიას და ნუ ვიზამთ ისე, რომ ჩვენ აღმოვჩნდეთ ის ტრაგიკული თაობა, რომელმაც მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილი საქართველო უფსკრულში გადაჩეხა და ქვეყნიერებაზე სამუდამოდ წაშალა მისი სახსენებელი!

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა

რა ხდება და საით მიემართება ჩვენი დღევანდელი ცხოვრება?

ჩვენი ეროვნული მოძრაობის დასაწყისიდან და 9 აპრილის ტრაგედიიდან საკმარისი დრო გავიდა დაფიქრებისათვის. მით უმეტეს რომ ამ ტრაგედიას ომები მოჰყვა, ქართველების სისხლი კიდევ დაიღვარა დიდი რაოდენობით და ურთიერთობა პოლიტიკოსებს შორის კიდევ უფრო შეურიგებელი გახდა. ეს დრო და მიღებული მწარე გამოცდილება საკმარისია იმისათვის, რომ შესატყვისი დასკვნები იქნეს გამოტანილი, პასუხი გაეცეს მძიმე და ძნელად მოსაგვარებელ პრობლემებს, რომლებიც ყოველდღე იჩენენ თავს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში და არა თუ კლებულობს მათი ანტიეროვნული ხასიათი, კიდევ უფრო მეტსა და მეტ სიმწვავეს იძენს.

პატარა ერის ბედი და ისტორიული განვითარება უმრავლეს შემთხვევაში დამოკიდებულია გარეპოლიტიკურ ვითარებაზე და იმ ურთიერთობებზე, რომლებიც მეზობელ მძლავრ სახელმწიფოებს შორის მყარდება. მაგრამ დგება ისეთი დრო და პირობებიც, როდესაც პატარა ერს შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი ბედი, საკუთარი ცხოვრების პოლიტიკური წყობის და ეკონომიკის საკითხები საკუთარი ძალებით გადაწყვიტოს, და ცხოვრება ერის ნების მიხედვით ააწყოს.

ასეთი, შეიძლება ითქვას, ნამდვილად ბედნიერი პირობები ჩვენი ერისათვის 80-იანი წლების მეორე ნახევარში შეიქმნა. უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეს იყო ერთად-ერთი შემთხვევა (თუ 1918-1921 ხანმოკლე დროს არ მივიღებთ მხედველობაში) ეროვნული ინტერესების განხორციელებისა და კერძოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოპოვებისათვის, და მოითხოვდა ერის მთელი სულიერი, თუ მატერიალური ძალების დაძაბვას და გონივრულ პოლიტიკას.

რამდენად შესაფერისი იყო, და არის ჩვენი პოლიტიკა ამ დიდი მიზნებისათვის, როგორი პოლიტიკა უწყობდა ხელს მის განხორციელებას, და როგორი — ეწინააღმდეგება — ამ კითხვაზე პასუხი მოითხოვდა საზოგადოებრივი (და ეროვნული) განვითარების ზოგადი წანამძღვრების და მათი განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალების გარკვევას.

ეს ძალა პიროვნებაა, რომელიც, წინააღმდეგ რუსეთსა და იმპერიაში შემავალ ქვეყნებში თითქმის საუკუნის განმავლობაში გაბატონებული შეხედულებისა, წარმოადგენს არა გარემოს („საბოლოო ჯამში — საწარმოო ურთიერთობათა") პროდუქტს, არამედ საზოგადოების ძირითად შემადგენელ ნაწილს, მის ატომს და, ამავე დროს, მის აქტიურ შემოქმედს.

სუბიექტური სოციოლოგიის ეს დებულება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასში დაეჭვება და, მით უმეტეს, უარყოფა — მხოლოდ მრავალი შეცდომის მიზეზი შეიძლება გახდეს. პიროვნება ქმნის საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს, როგორც მისწრაფების საგანს, და, ამავე დროს, წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებათა განმსაზღვრელ ფაქტორს: როგორიცაა პიროვნება, ისეთივეა საზოგადოება; განვითარების როგორ საფეხურზეც იმყოფება პიროვნება (ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებში), იმავე საფეხურზე იმყოფება საზოგადოებაც.

ცხადია, ჩვენი ყურადღების საგანს, ამჟამად, წარმოადგენენ ის პიროვნებანი და ჯგუფები, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი პოლიტიკურ ცხოვრებაში და რომელთა მოქმედება მათი არსებობის ამ „ფორმით" არის განსაზღვრული.

მაგრამ პიროვნება მრავალფეროვანი მოვლენაა და ამ თავისებურებით შედის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, ე. ი. სავსებით ინარჩუნებს მრავალფეროვნებას, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, და მისი მოქმედება დადებითადაც შეიძლება იყოს შეფასებული და უარყოფითადაც. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ხელსაც უწყობდეს ჩვენი მოძრაობის ძირითად მიზნებს და ხელსაც უშლიდეს; იბრძოდეს კიდეც მისი გამარჯვებისათვის და წინაც გადაეღობოს (თავისი ძალებისა და შესაძლებლობის შესაბამისად).

თუ ქართველმა ხალხმა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დღევანდელი პირობები ვერ გამოიყენა და საკმარისი გონიერება ვერ გამოიჩინა, „ხელიდან გაუშვა" პირობები, რომლებიც, როგორც ითქვა, საუკუნეების განმავლობაში ერთხელ დგება პატარა ერის ცხოვრებაში, ამას არც აპატიებს მომავალი თაობები. საყურადღებოა, რომ ამგვარი ხმები უკვე გაისმის და აუცილებლად მოითხოვს ანგარიშის გაწევას.

* * *

გონიერების მთავარი, ძირითადი, აუცილებელი გამოვლენა და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ძალა ერის ერთიანობაა, ხოლო ერის ერთიანობის, შეგნებისა და განმტკიცების პირობა იმ ადამიანური მისწრაფებებისა და ვნებებისაგან გათავისუფლებაა, რომლებიც ეწინააღმდეგება ეროვნული მოძრაობის მთავარ მიზანს და, უფრო მეტიც, წარმოადგენს მოძრაობის შებორკვის მთავარ და ყველაზე საშიშ ფსიქოლოგიურ ფაქტორს.

წელიწად-ნახევრის წინ გამოქვეყნებულ სტატიაში (დეკემბერ-იანვრის ტრაგედია და ზოგიერთი დასკვნები, „საქართველო", 7. III 92) ვწერდი: „ეროვნული მთლიანობის იდეა ჯერ არ დაუფლებია ჩვენს ცნობიერებას ისეთი ძალით, რომ მეორე ხარისხოვანი და პიროვნული დაჩრდილულიყო".

ვისაც შეუსწავლია ჩვენი ისტორია, დაჰკვირვებია მისი ისტორიული განვითარების კანონზომიერებას და არ არის შეზღუდული ჩვენი ქვეყნისათვის შეუფერებელი „ჩარჩოებით", მას სხვაგვარი დასკვნების გამოტანა არ შეუძლია. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი ისტორიის უახლოესმა წარსულმა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ეროვნული მოძრაობის შეფასება ეთიკურ საფუძველს უნდა იმყარებოდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეთიკურ ღირებულებებს მიენიჭოს და მისი წარმატება და წარუმატებლობა ეთიკის პოზიციიდან შეფასდეს.

გავიხსენოთ, რომ ისტორიულად, თავისი წარმოქმნის პირველ პერიოდში, პოლიტიკა და ეთიკა ერთობლივად მოქმედებდნენ და არსებითად ერთ მთავარ ამოცანას ემსახურებოდნენ. პლატონის მიხედვით ეთიკის უმაღლეს მიზანს სიკეთე წარმოადგენს, ხოლო სახელმწიფოს უმაღლეს დანიშნულებას კეთილმოქმედება. არისტოტელე ადამიანთა ურთიერთობების ყველაზე სრულყოფილ ფორმად სახელმწიფოს თვლიდა, მაგრამ მისი ფუნქციები არ ამოიწურებოდა ადამიანთა უფლებრივი და ქვეყნის გარეშე მტრებისაგან დაცვით, ანდა ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფით. სახელმწიფოს უფრო მაღალი და ფართო ამოცანა — არისტოტელეს მიხედვით — ადამიანთა ნეტარების დაცვაა.

შემდეგ საუკუნეებში წარმოიქმნება მაკიაველიზმი, ტალეირანიზმი და სხვ. სადაც ეთიკა არა მხოლოდ ეთიშება პოლიტიკას, ძალიან ხშირად უპირისპირდება კიდეც.

რამდენად ხორციელდება, რეალურად ძნელი სათქმელია, მაგრამ დღევანდელ პირობებში ხომ ხშირად ისმის ხმები ეთიკისა და პოლიტიკის შეერთების და დაახლოვების თაობაზე — ეს ცხადია. აღვნიშნავ იმასაც, რომ პოლიტიკისა და ეთიკის დაახლოვების დიდ საქმეში და კერძოდ საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში, ალბათ არავის შეუტანია ისეთი წვლილი, როგორიც ჩვენმა თანამემამულემ ბ-ნმა ედუარდ შევარდნაძემ.

დღევანდელ ჩვენს უკიდურესად დაძაბულ და კრიზისულ ვითარებაში, როდესაც ერი ყოველი ჩვენთაგანის უპირველესი ზრუნვისა და ყურადღების საგანი უნდა წარმოადგენდეს, განსაკუთრებული სიმწვავით განიცდება (თუ არ განიცდება — **უნდა განიცდებოდეს**) ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ნაკარნახევია არა ეთიკური ფაქტორებით, არამედ, ვთქვათ პირდაპირ — მდაბალი ვნებებით და მისწრაფებებით, და რაც მთავარია, მათი „ინტენსივობა" არა თუ კლებულობს და სუსტდება, — უფრო მეტი კატეგორიულობით ვლინდება.

ზევით დამოწმებული სიტყვები, რომლებიც ერის მთლიანობის იდეას ეხება ქართველი კაცის ცნობიერებაში, ნაკარნახევია, პარტიათა მართლაც განსაცვიფრებელ სიმრავლით ჩვენში. მაგრამ ერის დაქსაქსულობას სხვა, უფრო ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს და პარტიათა სიმრავლე მისი მხოლოდ, ერთ-ერთი გამოვლენაა.

ეს ფსიქოლოგიური საფუძველი და ერის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ (შეგნებულად, თუ შეუგნებლად) მოქმედებათა მთავარი მიზეზი, ვფიქრობ, ქართველი კაცისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ინდივიდუალიზმია, უფრო სწორად „ზეჭარბი ინდივიდუალიზმი", „მე"-ს პრევალირებული ადგილი პიროვნებაში, რასაც ჩვენს პრესაში (ცალკეულ შემთხვევებში) „ეგოიზმს", „ეგოიზმისადმი" დაუოკებელ მისწრაფებას უწოდებენ.

ამავე ფსიქოლოგიური საფუძვლითაა განსაზღვრული არა ნაკლებ თვალში საცემი „პერმანენტული ოპოზიცია", ანდა „ოპოზიცია ოპოზიციისათვის", რაც ბევრს დემოკრატიის აუცილებელ ნიშნად წარმოუდგენია, მაგრამ საკმარისია ამგვარი განწყობილებით შეპყრობილმა თავის ძირითად მიზანს მიაღწიოს, რომ ოპოზიცია აღარც მოაგონდეს. რა არის ამის მიზეზი და როგორი მოტივებით არის ნაკარნახევი — ეს გასაგებია.

არ არის გამორიცხული, რომ მოძრაობის აქტიურ მონაწილეთა შორის იყვნენ სხვა დარგებში „ხელმოცარული" პირებიც, ან არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი წარუმატებლობის კომპენსაცია პოლიტიკურ სფეროში ეძებონ.

რა თქმა უნდა, ჩვენი ეროვნული მოძრაობა მხოლოდ ამგვარი პირებით არ ამოიწურება, მაგრამ, თუ გავითვალისწინეთ, რომ მათი მოქმედება მეტი და მეტი თავშეუკავებლობით ვლინდება, შეიძლება ითქვას, რომ მათი მოქმედება ნაკლებ სახიფათო არა ხდება ქვეყნის მომავლისათვის.

* * *

საბედნიეროდ, ჩვენს მოძრაობას ჰყავს გამოცდილი, ერისათვის თავდადებული და, შეიძლება ითქვას, თავგადადებული შვილებიც, რომლებიც, უნდა ვიქონიოთ იმედი, შეძლებენ განიმტკიცონ ავტორიტეტი და სწორი გზით წარმართონ მოძრაობა.

დღეს, ერისათვის უმძიმეს პირობებში, ჩვენი მოძრაობის მთავარი ფიგურა და ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება ბ-ნი ედუარდ შევარდნაძეა. ეს ასეა და აუცილებლად უნდა ითქვას, ითქვას ხმამაღლა, იმათ საყურადღებოდაც, ვისაც ეს სიტყვები სალბუნად მოევლინება და იმათ საყურადღებოდაც, ვის გულსაც ლახვრად დაესობა. ითქვას საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობისათვის. ამომრჩეველთა იმ 95 პროცენტისათვის, ვინც 1992 წლის ოქტომბერში ხმა მისცა მის არჩევას მომავალი პარლამენტის თავმჯდომარედ.

ამ არჩევნების შედეგები მეტყველებს ქართველი ხალხის პოლიტიკური აზროვნების საკმარის დონეზეც და იმაზეც, რომ მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ბ-ნი შევარდნაძის დიდი მიღწევები საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე, დიდი მადლიერების გრძნობა, რომელიც მან დასავლეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეების მხრივ დაიმსახურა და, ცხადია, არც ის მიღწევები, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკა სულმცირე დროში საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა და ოფიციალური ცნობა და აღიარება მოაპოვებინა.

არსებობს სრული საფუძველი იმ აქციის და სახელდობრ იმ პირების დადებითი შეფასებისათვის, რომლებმაც მისი რუსეთიდან ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყვანა განახორციელეს.

მაგრამ მოხდა და ხდება მოულოდნელი, თუმცა საქართველოში არც თუ საოცარი, და დიდად სამწუხარო რამ. ქართულ მიწა-წყალზე დაბადებული ქართველის ქართული პოლიტიკა და საქართველოს უკეთეს მომავალზე დაულალავი ზრუნვა, საკუთარ ქვეყანაში უფრო მეტ სირთულეებს და ძნელად გადასალახავ წინააღმდეგობებს აწყდება.

აი, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების უკანასკნელი დღეების მოკლე ქრონიკა:

ერთის მხრივ ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ეზოში ხელისუფლებისა და ეკლესიის ერთობლივად ჩატარებული მარიამობის წმინდა დღესასწაული და ფიცი ქართველთა შორის ძმათა სისხლისღვრის დაგმობისათვის. მეორეს მხრივ მოვლენები, სადაც თითქოს ერთად მოიყარა თავი ეროვნული მთლიანობის რღვევისა და განხეთქილებისაკენ მიმართულმა მისწრაფებებმა და ვნებებმა — იმავე დღის დილის 5 საათზე ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებების შეჭრა სენაკში და სამეგრელოს სხვა ქალაქებში, — ტანკებით, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით, ყუმბარსატყორცნებით, ავტომატური იარაღით; თბილისის სასიცოცხლო მომარაგების გზების გადაკეტვით, ფოთზე და ქუთაისზე გალაშქრების მუქარით. და აქვე: პარლამენტის 27 აგვისტოს და მომდევნო სხდომები, სადაც სახელმწიფოს მეთაურსა და პარლამენტის ცალკეულ წევრებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა და განხეთქილების საშიშროებამ უკიდურეს დონეს მიაღწია.

ღრმა სინანულის გრძნობას იწვევს, რომ პარლამენტის სხდომა, რომელსაც საზოგადოება დიდი იმედებით მოელოდა, ამგვარად დამთავრდა და რომ დაძაბულობა ამჯერადაც დეპუტატ ნოდარ ნათაძის განცხადებით დაიწყო.

პრესის ფურცლებზე („საქ. რესპ.", 28. VIII. 93) ამ სხდომის ანგარიშთან ერთად გამოქვეყნებულია უცხოეთის ცნობები საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე: „საქართველო ისე სწრაფად მიექანება ანარქიისაკენ, რომ ხალხს უკვე ეშინია ქუჩებში გამოსვლა და სახლის კარის გაღება"; რომ საქართველო „ყველაზე უფრო არასტაბილური და სახიფათო ქვეყანა ყოფილა საბჭოთა კავშირის ფარგლებში", ფრანგულ გაზეთში გამოქვეყნებული ერთი სტატია დასათაურებულია — „საქართველო სამოქალაქო ომის პირას" და სხვ.

ამგვარი ფაქტები იმდენად თვალნათლივია, რომ უცხოეთის ცნობები არც იყო საჭირო „პერმანენტულ ოპოზიციას" შესატყვისი დასკვნები რომ გამოეტანა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საგანგაშო ფაქტები მორეული პრესისათვისაც ცხადი გამხდარა, და „ბნელით მოცული" მხოლოდ ჩვენი პარლამენტის ნაწილისათვის დარჩენილა. თუმცა შეიძლება ისიც გასარკვევი იყოს — მართლა ბნელითაა მოცული, თუ შეგნებულადაა დაბნელებული „მიზეზითა სხვათა და სხვათა გამო".

ქ-ნმა ირინე სარიშვილმა 27 აგვისტოს სხდომასთან დაკავშირებით ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „აქ უფრო სხვა მოტივებია. ერთი ის, რომ სახელმწიფოს მეთაურს არ მისცენ თავისი კანდიდატების გაყვანის საშუალება, მეორე — საკუთარი ხელი გაურიონ კონკრეტული პიროვნებების დანიშვნაში. ამის უკან რაც დგას, ეს მათ სინდისზე იყოს" („დრონი", 28. VIII. 93).

სადამდის შეიძლება მივიდეს — „უკან რაც დგას", იქიდანაც ჩანს, რომ „ლამისაა — პარლამენტარებმა — ბაზრის დირექტორის" დანიშვნის უფლებაც ხელთ იგდონ. ძნელი არაა მიხვედრა, — საითაა გამიზნული თანამდებობაზე დანიშვნის ეს „წესი", თუ ამ სამარცხვინო უწესობას შეიძლება საერთოდ წესი ეწოდოს.

ჩვენს პარლამენტში არსებულ „გაჭირვებულ საქმეს" ვერც უცხოეთის პრესის მოსაზრებებმა („რომ არა შევარდნაძის პიროვნება და მისი ავტორიტეტი, საქართველოს უკვე დაკარგული ექნებოდა სახელმწიფოს ავტორიტეტი") უშველა და პარლამენტის შემდეგ სხდომები იმავე „სტილში" გაგრძელდა.

29 აგვისტოს სხდომაზე სახელმწიფოს მეთაურს დასჭირდა განეცხადებინა, რომ ხელისუფლებამაც, პარლამენტმაც, პოლიტიკურმა პარტიებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა შეთანხმების პროცესი სიტყვიდან „საქმიან რელსებზე გადასულიყო", მაგრამ მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა 28 აგვისტოს სენაკში და რაც „ვერავითარი ადამიანური **მორალის** (ხაზი ჩემია,—შ. ხ.) ჩარჩოებში ვერ ეტევა" („საქ. რესპ". 31. VIII. 93.). და განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმისათვის, რომ „მთავრობამ და პარლამენტმა შეთანხმებულად უნდა იმუშაონ", მაგრამ იმავე სხდომაზე იყო ცდა ისეთი საკითხის სადისკუსიოდ გადაქცევისა, როგორიცაა მთავრობის მიერ შემოტანილი წინადადება მოსახლეობისათვის ხელფასების 100 პროცენტიანი გაზრდის შესახებ.

* * *

ედუარდ შევარდნაძის პატივისმცემელთა, პოლიტიკურ თანამოაზრეთა და მხარდამჭერთა შორის, რომლებიც საქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ, გაისმა კეთილმოსურნე შენიშვნებიც. მათი უმრავლესობა ძირითადად მართვის გამკაცრების და განმტკიცებისაკენ არის მიმართული, და შეესატყვისება დემოკრატიას. ეს ფაქტი მაძლევს საფუძველს ერთი შენიშვნა მეც გამოვთქვა.

რამდენიმე თვის წინ, როდესაც არძინბამ ჩვენს სახელმწიფოს მეთაურთან დადებული პირველი ხელშეკრულება დაარღვია, ბ-ნმა შევარდნაძემ განაცხადა: ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოვიტყუვდით (წინასწარ ვიხდი ბოდიშს, თუ ეს სიტყვები სრული სიზუსტით არ არის დამოწმებული). მაგრამ, სამწუხაროდ, ის მხოლოდ ამ შემთხვევაში არ შეუყვანიათ შეცდომაში. მის 30 აგვისტოს რადიოინტერვიუში ვკითხულობთ:

„განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი ბატონ გია ყარყარაშვილის და ლოთი ქობალიას საქმიან შეხვედრას. მე მივესალმე იმ შეთანხმებებს, რომლებსაც მიაღწია ორივე მხარემ და, **სიმართლე გითხრათ დავიჯერე, რომ ამ შეხვედრის შემდეგ რაიმე მოულოდნელობა არ მოხდებოდა**", („საქ. რესპ.", 31, VIII. 93, ხაზი ჩემია, შ. ხ.).

ერთი სიტყვით, დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ასეთი „მოულოდნელობა მოხდა" და რესპუბლიკა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

შეცდენა შეგნებული სიცრუისა და სიყალბის შედეგია და პოლიტიკაში ეთიკური პრინციპის დარღვევით არის გამოწვეული, ეწინააღმდეგება ეთიკისა და პოლიტიკის შეერთების პრინციპს და რჩება არძინბასა და ქობალიასთანა პირებისათვის პოლიტიკური მოქმედების ძირითად „მეთოდად". პოლიტიკური სიცრუის და საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანის ერთ-ერთ „კლასიკურ" მაგალითს წარმოადგენს ის, რასაც წერენ ქ-ნი სტაროვოიტოვა და ტ. კულუმბეგოვი ე. წ. სამხრეთ ოსეთის „ოკუპაციის" შესახებ ქართველების მხრივ („სიმართლე და სიყალბე „სამხრეთ ოსეთის" შესახებ", გაზ. „საქართველო", 16-22 ოქტ., 1992). ხოლო რამდენად „მასშტაბურია" ამ სიყალბის გავრცელების მიზნები, იქიდან ჩანს, რომ ეს ისტორიული საბუთების სრული გაყალბების საფუძველზე დამყარებული „აღმოჩენა" გერმანულ პრესაშიც გამოქვეყნდა.

რაც შეეხება შეცდენის იმ ფაქტს, რომელიც ჩვენმა სახელმწიფოს მეთაურმა განიცადა, ის გამოუცდელობით არ არის გამოწვეული და სულ სხვა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს.

ყოველ ახალ პროგრესულ იდეას პოლიტიკაში წარმატების ყველაზე მეტი პირობები იმ გარემოში აქვს, სადაც წარმოიქმნა (თუ იქ რაიმე განსაკუთრებული ხელისშემშლელი ფაქტორები არ მოქმედებენ). თვით ამ იდეების აღმოცენებაშია უკვე მოცემული მათი განხორციელების შესაძლებლობა. მაგრამ როდესაც იდეათა საერთაშორისო მიმოქცევის გამო, უცხო და შეუფერებელ ნიადაგში ჩაითესლება, იდეა ან კვდება, ანდა ძალიან მძიმე პირობებში უხდება განვითარება.

დღეს მსოფლიოში ისეთი პოლიტიკური ატმოსფეროა, როდესაც დემოკრატიული იდეები სახელმწიფოებრივი წყობის პოლიტიკურ საზომადაც იქცა და ეთიკური შეფასების კრიტერიუმადაც: ამ პრინციპების უგულვებელყოფას არც ერთი მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფო არ გაპატიებს და შეიძლება საკმაოდ მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური გართულებებიც გამოიწვიოს.

პოლიტიკური შეგნების სხვადასხვა დონე მოლაპარაკების მოპირდაპირე მხარეებს შორის იწვევს რთულ და ხშირად ძნელად დასაძლევ დაბრკოლებებს. ზნეობრივი პოსტულატები ცალმხრივ მოქმედ ფაქტორად იქცევა და როგორ სამწუხაროდაც უნდა ჟღერდეს, მაინც უნდა ითქვას, რომ ხშირად წაგებულთა შორის ის რჩება, ვისაც ყოველმხრივი და განსაკუთრებით ზნეობრივი უპირატესობა აქვს.

ედ. შევარდნაძის პოლიტიკური გამოცდილება და სახელმწიფოებრივი პოზიცია ჩამოყალიბებულია და განმტკიცებული დემოკრატიის ეთიკური პრინციპების საფუძველზე, და დღევანდელი სამყაროს მოწინავე სახელმწიფოებრივი მოღვაწეების წარმომადგენლებთან (შულცი, გენშერი, რეიგანი, ბუში, ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტი და მრ. სხვ.) ურთიერთობაში. მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეთიკურ პრინციპებს და სახელდობრ ადამიანთა შორის „ნდობის აღდგენას" ეჭირა. მისთვის პოლიტიკური მიზნების განხორციელების მთავარ ფაქტორს „ადამიანური ფაქტორი" წარმოადგენს, და ამის გამო უკვე აღარ შეეძლო („აღარ შემეძლო" — წერს იგი) და „აღარც ჰქონდა უფლება" ანგარიში არ გაეწია ადამიანისათვის, როგორც ადამიანისათვის. ადამიანზე ფიქრი და ზრუნვა აუცილებლად იქცა („ჩემი არჩევანი", რუს. გამ., 1991, გვ. 13, 25).

და აი, მოვლენები იმგვარად წარიმართა, რომ ამ ტრადიციებისა და შეგნების მოღვაწეს ურთიერთობა ისეთი „ჯიშის" ადამიანებთანაც უნდა დაემყარებინა, ვისთვისაც სავსებით უცხოა და შინაგანად მიუღებელი არა მხოლოდ თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეობის ნორმები, უკუგდებული და მივიწყებულია საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული ძველი ქართული კაცური მოქმედების წესებიც.

კიდევ ვინ იცის, რამდენი ამისთანა „პოლიტიკოსი" იფარება ჩვენში და რომელი — როდის, რა პირობებში და როგორ ნიღაბს ამოფარებული წამოყოფს თავს! კონკრეტული პასუხი კითხვაზე შეუძლებელია, მაგრამ მუდმივი ფიქრი ამაზე, სიფრთხილე, ნაკლები ნდობა და მოსალოდნელი შემთხვევისათვის მზადყოფნა კი აუცილებელია!

* * *

რესპუბლიკა მძიმე მდგომარეობაშია და მოითხოვს ნამდვილ ერთგულებას, ერთსულოვან მხარდაჭერას მთელი ჩვენი ეროვნული ენერგიის დაძაბვას. მიზნის მიღწევა ჩვენზე და პირველ ყოვლისა ჩვენზეა დამოკიდებული. შევანელოთ დროებით ფიქრი „გარეშე მიზეზებზე". დავწყნარდეთ და ჩავიხედოთ საკუთარ სულებში, შევაფასოთ საკუთარი პოლიტიკური ორიენტაცია და პოზიცია, საკუთარი მოქმედება და ამ მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივები.

გავთავისუფლდეთ მდაბალი, მდგომარეობისათვის შეუფერებელი და, ხშირად, უღირსი ვნებებისაგან. დავრჩეთ ადამიანებად და ქართველებად ერის ამ მძიმე, მაგრამ იმედის მომცემ პოლიტიკურ ვითარებაში.

პირველი ჩემი წერილი პოლიტიკურ თემაზე 1989 წლის მარტში გამოქვეყნდა და იმ დღიდან დღევანდლამდე ერთი იდეა ფიქსი არ მაძლევს მოსვენებას. ეროვნული მარცხი ყოველთვის ტრაგედია და საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო ჩვენს ისტორიაში, მაგრამ მარცხი ჩვენს დღევანდელ — ხელსაყრელ გარეპოლიტიკურ ვითარებასა და ამდენი დაღვრილი სისხლის პირობებში — განსაკუთრებული სიმწვავით იქნება მოცული, ნუ დავამთავრებთ ჩვენს ეროვნულ მოძრაობას ისე, რომ 9 მარტისა და 9 აპრილის ტრაგედიების ადგილი, რომელიც ხალხმა წმინდა ძეგლად იწამა და სადაც წმინდა სანთლები მუდმივად ანთია, — გადაიქცეს მთელი ერის საყოველთაო გოდების ადგილად!

შალვა ხიდაშელი,
8. IX, 93.

რაც ლოგიკის ჩარჩოში არ თავსდება

„იბერია-სპექტრის" მორიგი დეზინფორმაცია

სოფლის კლუბის კედლის გაზეთის პათეტიკით გაჟღენთილ „იბერია-სპექტრის" პასკვილებზე რეაგირება არც როდესმე მომიხდენია და არც მომავალში ვაპირებ, დღევანდელი გამონაკლისის გარდა.

პროკურატურის პრესცენტრის მეშვეობით გავეცანი „იბერია-სპექტრის" 1993 წლის 8-14 სექტემბრის № 89-ში გამოქვეყნებულ ადვოკატ ოთარ ბერიშვილის პუბლიკაციას, რომელიც 12 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ჟურნალისტ რუსუდან ლორთქიფანიძისთვის ჩემს მიერ მიცემულ ინტერვიუს ეხება. სიმართლე გითხრათ, გამაოცა ბატონი ოთარის პაექრობის არაჯენტლმენურმა სტილმა და ფაქტების დამახინჯებით წარმოჩენამ.

პუბლიკაციის ავტორი თავისი მცდარი მოსაზრებების დასადასტურებლად იშველიებს ინტერვიუს ტექსტიდან ამოგლეჯილ წინადადებებს (კონტექსტიდან წინადადებების ამოგლეჯა ხომ მკითხველთა დეზინფორმაციის საუკეთესო საშუალებაა), და ცდილობს არასწორი წარმოდგენა შეუქმნას საზოგადოებას ამ ინტერვიუს ნამდვილ მიზანზე, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონიერების დაცვა ხელისუფლების უპირველესი ამოცანაა.

გაუგებარია, მაგალითად, რას ეყრდნობა ო. ბერიშვილი, როცა ამტკიცებს, თითქოს ჩვენ იმ აზრისა ვიყოთ, რომ რახან ადამიანი" საგამომძიებლო" (უნდა იყოს „საგამოძიებო" — ა. ბ.) აპარატში მოხვდა" (?!), იგი უეჭველად დამნაშავეა და მას დაცვა არ სჭირდება: (ასეთი დაუსაბუთებელი განცხადებებით მდიდარია ეს პუბლიკაცია). იქნებ, კეთილი ინებოს და მიგვანიშნოს სად წერია ეს?

რესპუბლიკაში შექმნილი უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაცია, დამნაშავეთა დაუსჯელი თარეში ჟურნალისტმა მართებულად ჩათვალა კანონიერების კრახად. ბ-ნი ბერიშვილი კი თვლის, რომ „კანონი და კანონიერება კი არ არის კრახამდე მისული, როგორც ეს კორესპონდენტს ჰგონია, მათი აღსრულებაა ნულის ტოლი"... თუ კანონის აღსრულება ნულის ტოლია, განა ეს კანონიერების კრახი არ არის, ბატონო ოთარ?

პუბლიკაციის ავტორის გასაგებად ვაცხადებ: აშკარად არასწორია მისი განმარტება იმის შესახებ, თითქოს „...მე (ე. ი. მე. — ა. ბ.) ვამბობ, რომ ადვოკატი ხელს უწყობს. დამნაშავეთა დაუსჯელობას და იწვევს საგამოძიებო აპარატის პარალიზებას", ეს უკვე მეტისმეტია და პაექრობის უღირსი გზაა. იქნებ, გვიპასუხოთ, ბატონო ოთარ, ინტერვიუს რომელ აბზაცში წერია ასე?

თქვენს გასაგონად კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმას, რაც „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს ვუთხარი და რამაც თქვენ ასე „შეგაშფოთათ". „დასავლეთის ქვეყნებისეული დაცვის უფლების საკანონმდებლო ნორმათა მექანიკურად გადმოტანამ ხელი შეუწყო დამნაშავეთა დაუსჯელობას და საგამოძიებო სამსახურების პარალიზება გამოიწვია. რამდენადაც ამ ნორმათა რეალიზაციის პარალელურად გამოძიების საიდუმლოების, გამომძიებლის ავტორიტეტის და დანაშაულით ხელყოფილ ღირებულებათა დაცვის მექანიზმი არ შექმნილა". ეს მექანიზმი კი გულისხმობს სასამართლო ხელისუფლების იმგვარად ამოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს ამ ნორმათა შესრულებას, გამოძიების სტადიაშივე სასამართლო ზედამხედველობას.

იქნებ დაგვედოთ პატივი და მიგვანიშნოთ — სად ამოიკითხეთ თქვენს მიერ დამოწმებული ტექსტი? ხოლო რაც შეეხება ჩემს მიერ მოტანილ ფრაზას ზოგიერთი ბრალდებულისა და ადვოკატის უკანონო მოთხოვნათა შესახებ, ამის დასადასტურებლად უმარტივესი გზაა რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოების მიერ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენები.

ლოგიკის ჩარჩოში არ თავსდება თქვენი განცხადება განსაკუთრებით დიდი ოდენობით (რამდენიმე მილიონი მანეთი, 1991 წლის იანვარში მანეთის მყიდველობითი კურსის მიხედვით) დატაცებაში მხილებულ პირთა საქმეზე, რომლებიც პატიმრობიდან (და არა პასუხისმგებლობისგან) გამოძიებამ გაათავისუფლა 1992 წლის 3 აგვისტოს მანიფესტის საფუძველზე და შეუფარდა გაუსვლელობის ხელწერილი. თუ როგორ შეასრულეს მათ კანონის მოთხოვნა თქვენთვის ცნობილია. მეორეც, როდესაც სხვას ამტყუნებთ, რატომ თვითონ არ დაუფიქრდით, როცა ამბობთ, ისინი უდანაშაულონი არიანო. განიხილა ეს საქმე სასამართლომ? მიიღო გადაწყვეტილება? თუ სამართლიანობის უკანასკნელი ინსტანცია თქვენი განცხადება? საქართველოში, რა, სასამართლო აღარ არსებობს? იქნებ, თქვენივე სიტყვებითვე რომ ვთქვათ, სწორედ „ეს არის გაუთვითცნობიერებული მკითხველის დეზორიენტაცია".

„იბერია-სპექტრის" თაყვანისმცემლებმა თქვენი გულის მოსაგებად შეიძლება მკითხონ: მაშ, თქვენ რა უფლება გაქვთ სასამართლომდე განსასჯელ პირს ბრალი დასდოთ დანაშაულის ჩადენაში? ვფიქრობ, პირადად თქვენ ამას არ შემეკითხებით, რადგან კარგად იცით მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-141-მუხლები. რომლებითაც გამომძიებელი ვალდებულია სათანადო საფუძვლების არსებობისას დანაშაულის ჩადენაში ბრალდება წარუდგინოს პირს.

გაზეთ „იბერია-სპექტრში" კონკრეტულ საქმეთა ანალიზით და თქვენეული შეფასებით თავად ხომ არ აყენებთ ჩრდილს თქვენს პროფესიონალიზმს და კომპეტენტურობას?

არც ის მინდა ვირწმუნო, რომ ვეღარ არჩევთ თქვენს გაზეთს სასამართლო ორგანოების საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციებისაგან.

დამეთანხმეთ, ბატონო ოთარ, რომ ჩემი და დარგში მოღვაწე ყველა პირის მოვალეობაა ხელი შევუწყოთ ადვოკატის როლის ამაღლებას სამართალწარმოებაში, ყოველნაირად წავახალისოთ იგი. კანონის შესაბამისად, გავაფართოოთ მათი უფლებები დამნაშავეობის წინააღმდეგ კანონიერი მეთოდებით ბრძოლის გასაძლიერებლად.

ერთსაც გეტყვით, როცა ჟურნალისტს კორექტურის გამო იურიდიული ტერმინის უცოდინარობას სწამებთ, „იბერია-სპექტრის" ამავე ნომერში თქვენი კორესპონდენციაც და სხვათა წერილებიც დაკვირვებით წაიკითხეთ, კორექტურის მოსაძებნად დიოგენის ფარანი არ დაგჭირდებათ.

რაც შეეხება თქვენს პუბლიკაციასთან დაკავშირებულ რედაქციის მინაწერს, საჭიროდ არ ვთვლი ინტერვიუდან ამონაგლეჯებზე საუბარს, სიმართლე რომ გითხრათ, არც იმის სურვილი მაქვს. სამართლებრივად გაუნათლო მინაწერის ავტორები.

ერთს გკითხავთ მხოლოდ: ცილისწამებაში დამსტატებულნი ცილისწამებად ხომ არ მიიჩნევთ ჩემს ადრინდელ პუბლიკაციას, სადაც გამხილეთ საქართველოში „ერთადერთი კერძო გაზეთის მესაკუთრემ" 1991 წლის 2 სექტემბრის წერილით რომ მიმართეთ რესპუბლიკის იმჟამინდელ მთავრობას „ყველასგან დამოუკიდებელი „გაზეთისათვის" ფინანსური დახმარების თაობაზე და 1991 წლის 9 დეკემბრის № 23 გ-ს საიდუმლო განკარგულებით 400 ათასი მანეთი რომ გიფეშქაშეს?

ირაკლი გოცირიძეს ვეკითხები — გახსოვთ?

ანზორ ბალუაშვილი.
რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოს უფროსი.

რამდენიც კაცია, იმდენი აზრია

აურზაური არაფრის, თუ სხვა რამის გამო

მაქს ფრიშს თავის „შტილერში" ერთი მშვენიერი ამბავი აქვს, ამბავი ისიდორისა. ისიდორი ერთი ჩვეულებრივი, ყოვლად პატიოსანი კაცი იყო, ერთი სისუსტე ჰქონდა მხოლოდ — ვერ იტანდა შეკითხვას — „სად იყავი, ისიდორ?", რაც ვერა და ვერ გააგებინა საკუთარ ცოლს, რომელიც ყოველ საღამოს შინ დაბრუნებულ საყვარელ ქმარს ხწორედ ამ კითხვით ეგებებოდა.

სხვა გზა რომ ვეღარ მონახა, ისიდორი ოჯახიდან გადაიკარგა და მხოლოდ... ოცი წლის შემდეგ დაბრუნდა უკან. ოჯახი სტუმრებით იყო სავსე. გაიხარა ყველამ, განსაკუთრებით — ცოლმა, რომელიც სახეგაბრწყინებული მიუახლოვდა მონატრებულ ქმარს და სიყვარულით ჰკითხა — „ისიდორ, ძვირფასო, სად იყავ ამდენი ხანი?" ისიდორი ხმაამოუღებლად გაბრუნდა (ამბავი კი ისროლა, ერთი) და მას მერე იგი თვალით არავის უნახავს.

არ ვიცი, რამდენად ახლობელია სულიერი ნათესაობა ბატონ ვაჟა ადამიას მაქს ფრიშის ლიტერატურულ გმირთან, პარლამენტი კი ნამდვილად აღმოჩნდა ისიდორის ცოლზე დიდსულოვანი და როცა იგი თითქმის სამთვიანი გაუჩინარების შემდეგ სხდომაზე გამოჩნდა, მისთვის ამ კითხვით არავის მიუმართავს.

პარლამენტი პარლამენტია. ისიდორის ცოლს კი ქალური ცნობისმოყვარეობა სძლევდა ხოლმე. ეს თუ დაემართა ერთ-ერთ დეპუტატ ქალბატონს, რომელსაც მთლად „სად იყავ, ვაჟაო" არ უკითხავს. მაგრამ როგორც თავად ამბობს, ასე მიუგებია მას:

— მოამზადე, ძვირფასო?

— რა? — კითხვითვე უპასუხებია მას.

— რა და, სახელმწიფო გადატრიალება.

და უცებ, პარადოქსი: პარლამენტი გზავნის შესაძლებელი გადატრიალებისათვის [illegible] ადგილზე საპარლამენტო ჯგუფს და მის ხელმძღვანელად ნიშნავს ამ შესაძლებელი გადატრიალების შესაძლო ლიდერს ერთი ლოკალური პრობლემის — რკინიგზის ბლოკირების — შესასწავლად და მოსაგვარებლად.

მართალია, ბატონ ვაჟას არ ახსოვს, როდის შედგა ამგვარი დიალოგი მასსა და ისიდორის ცოლივით ცნობისმოყვარე მანდილოსანს შორის, მაგრამ ახსოვს პოლიტიკური მწარე რეპლიკა სხდომათა დარბაზიდან, როცა ამ ჯგუფის გამგზავრების საკითხი იხილებოდა: რა თქმა უნდა, ის უნდა წავიდეს, ვისაც სწორედ იქით მიესვლება. ეს საზოგადოებაში გავრცელებული იმ ხმის ექო იყო, ზემოხსენებული ქალბატონის ყურსაც რომ მისწვდომია. „დიახ, მე იქითაც მიმესვლება. სიმართლე დიდი ძალაა, მართალ კაცს ყველგან მიესვლებაო". — თქვა.

საპარლამენტო ჯგუფი შედგა. იგი სამეგრელოდან უკვე დაბრუნდა. ამ ჯგუფს ჰქონდა კონკრეტული მიზანი, რომელიც წასვლამდე განისაზღვრა: გაერკვიათ რკინიგზაზე შექმნილი სიტუაცია და დებლოკირების შესაძლებლობა, ეს, ასე ვთქვათ, პროგრამა-მინიმუმი. და კიდევ: თუკი ვინმე შეძლებს გარკვეულწილად მაინც შესუსტოს ამჟამად საქართველოში დაპირისპირებულ ძალებს შორის კონფრონტაცია, ეს, ცხადია, მხოლოდ მისასალმებელია. ამიტომ სცადა ამ ჯგუფმა დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკების დაწყება. ეს კი, პროგრამა — მაქსიმუმი, რომელიც უკვე ჯგუფმა განუსაზღვრა თავის თავს.

რკინიგზასთან დაკავშირებით საზოგადოებას უკვე აქვს ინფორმაცია, ვიცით მოკლედ: რკინიგზა ბლოკირებულია — ამბობდნენ აქეთ. ეს სიცრუეა — იყო ვერ იქიდან. სინამდვილე კი ის იყო, რომ რკინიგზა, — სულ ერთია. იმის გამო, რომ ბლოკირებულია, თუ იმის გამო, რომ არ არსებობდა ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების გარანტია, — ვერ ფუნქციონირებდა.

ხმაური ამას კი არ მოჰყვა, ჩვენ ცნებებისა და ტერმინების დაზუსტებას უფრო გამოიწვევდა ალბათ. — უმიზეზოდ არა. ეს მიზეზია, ამგვარ ხმაურებს რომ წარმოშობს ხოლმე ხან ზღვაზე, ხან საჰაერო გზებსა და, ამჯერად კი, რკინიგზაზე. ასე რომ, ხმაური, რომელიც თითქოს „იქითა მხარე" ამბობს, არაფრის კი არა, სხვა რამის მოჰყვა. რასა?

აქეთ „ჩვენა" ვართ, იქით — „ისინი" და ეგრის მდინარის ნაცვლად, რომელიც მხოლოდ ორ ადამიანს აშორიშორებდა, შუა ჩაგვიდის ცხენისწყალი და ხეთრიანად არც კი იცის კაცმა. მის გაღმა-გამოღმა ნაპირზე ვინ და რატომ აღმოვჩნდით. ეს კია. ორივე მხარეს აქეთაც და იქითაც — ერთი დროშა აქვს, საქართველოს დროშა. დროშა კი არა, ქვეყნის მანტია. რომლის შიგნით, ზოგი ვიცით, ზოგი — არა, რა ინტერესები გახვეულა... აბა, რა ვიფიქროთ? წესისამებრ, საერთო ინტერესები მხარეებს აახლოებს ხოლმე. აქ კი, — პირიქით. აქ გაღმა-გამოღმა დარჩენილები ხშირად ერთსა და იმავეს ვამბობთ და სხვადასხვას ვგულისხმობთ. ჩანს, მართლაც რაღაც გვაქვს სადავო და გასაყოფი — ისევ საქართველო?

ვაჟა ადამია: იქითაც ხელისუფლებაა, „იქით" — მე ვუწოდებ უწინდელი ხელისუფლების მხარეს, რომელიც ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, კერძოდ, სამეგრელოში გამაგრდა. იქ მთელი საქართველოს სპექტრია წარმოდგენილი — არიან კახელები, გურულები, ბევრმა მებრძოლმა შიდა ქართლი მიატოვა და უკვე შვიდი-რვა თვეა, იქ იმყოფება.

ვაჟა ადამიას მიაჩნია, რომ უწინდელ ხელისუფლებას, (რომლის წევრიც თვითონ იყო), უამრავი დანაშაული მიუძღვის, მაგრამ ფიქრობს, რომ დღეს უფრო მეტი დანაშაული ხდება. ასახელებს მაგალითებს, მოჰყავს პარალელები, განსაკუთრებით ახლანდელ ხესხებზე აკეთებს აქცენტს, ამტკიცებს, რომ იმ ხელისუფლების დროს კანონი ასე თუ ისე ხორციელდებოდა, ახლა — არა. რა გითხრათ? ალბათ მან უკეთ იცის, როგორც მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ მართლა ასეა თუ არა, და თუ ასეა — რატომ. თუ ჩვენს მკითხველებს დააკმაყოფილებს, უცვლელად მოგაწვდით ვაჟა ადამიას მოსაზრებას: — ამას რომ ვამბობ, ვგრძნობ, რომ მე ორგზის დანაშაული მაქვს ჩადენილი — როგორც უწინდელი და ამჟამინდელი ხელისუფლების წევრს და პასუხისმგებლობაც ორგზის მეკისრება.

— **თქვენ იქაც ოპოზიციაში ბრძანდებოდით და აქაც. ოპოზიცია მოსაგებიანი პოზიციაა მაშინ, როცა უკვე პასუხისმგებლობაზე მიდგება საქმე.**

მანამ კი, სანამ პოლიტიკოსები პასუხისმგებლობის განაწილებაზე ბჭობენ, თუ ვის რა დოზით ერგება იგი, იმ თავმდაბლობის მიუხედავადაც, რომ ზოგი მათგანს ორგზის პასუხისმგებლადაც მიაჩნია თავი, მათი შეცდომების საფასურს ხალხი იხდის საკმაოდ ძვირად და მწარედ — სისხლითა და შიმშილით იხდის იმიტომაც, რომ ორივე მხარეს მან მისცა არსებობის უფლება. „მან აირჩია" და ორივე მხარე დღეს ხწორედ მისი სახელით გამოდის.

ვაჟა ადამია: გვინდა-არ გვინდა, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედებს პარლამენტი და უზენაესი საბჭო. რომლის ხელისუფალსაც საქართველოში კონკრეტულად ბატონი ლოთი ქობალია წარმოადგენს, საერთოდ კი, პრეზიდენტი — ზვიად გამსახურდია, რომელიც ამჟამად საქართველოს გარეთ იმყოფება — ორი ხელისუფლება ჩვენი რეალობაა და ამის აღიარება გვმართებს. ...განსხვავება ის არის, რომ ეს ხელისუფლებები სხვადასხვა ტერიტორიას აკონტროლებენ, საქართველოს დიდი ნაწილი კი — აფხაზეთი, შიდა ქართლი, საქართველოს სამხრეთი, აღარას ვამბობ აჭარაზე, საერთოდ უკონტროლოდ არის.

მხარეები არსებობს და მოლაპარაკების მაგიდასთან მისხდომა აუცილებელია.

— **ესე იგი, თანამშრომლობა?**

— დიახ, თანამშრომლობა გარკვეულ დონეზე.

— **თქვენ ითანამშრომლებდით გამსახურდიასთან?**

— არ მინდა გულწრფელი არ ვიყო. ჩემთვის შეუძლებელია გამსახურდიასთან თანამშრომლობა. ეს ცხოვრებამ დაადასტურა. თუ თქვენ იმას გულისხმობთ, რომ მომავალ არჩევნებში არჩეული ვიქნებით მეც და გამსახურდიაც, მაშინ ადამია დაუბრუნდება საკუთარ პროფესიას — მე ექიმი ვარ. ხოლო ამ ეტაპზე თანამშრომლობა ჩემი საქმე არ არის. დონის მიხედვით მასთან ბატონმა შევარდნაძემ უნდა ითანამშრომლოს. ახლა, სამეგრელოში ყოფნისას, შემომთავაზეს გამსახურდიასთან სატელეფონო საუბარი. მე ვთქვი, რომ ამისათვის მზად არა ვარ-მეთქი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე ვერ ავიტან გამსახურდიას, როგორც ჩემს მოძმეს, ქართველს ქართველს, ექიმი ლიტერატორს...

— როგორც ექიმმა პაციენტს?

— როგორც პაციენტსაც.

— როგორც პრეზიდენტს?

— ეს ჩემთვის აუტანელი იქნებოდა. მე გულმხურვალე მომხრე ვარ 1921 წლის კონსტიტუციისა, რომელიც საპრეზიდენტო მმართველობას არ ითვალისწინებს.

— **უნდა მეკითხა, — როგორც ხელისუფალს და მაშინ ამ ლაპარაკის საშუალებას, ალბათ, არ მოგცემდით.**

— მე ჩემს დონეზე, დეპუტატებთან თანამშრომლობა მმართებს,

— **მაგრამ თქვენ ამ ხელისუფლებაშიც კომისიის თავმჯდომარე ბრძანდებით და იქაც ეს რანგი გქონდათ, ახლ რომ თანამშრომლობაც არავისთან მოგიწევთ.**

— მე გამომაძევეს ამ თანამდებობიდან და როგორც ვიცი, მგონი, დეპუტატობაც შეჩერებული მაქვს, რადგან სწავლობენ — ვმონაწილეობდი თუ არა პუტჩში.

* * *

მე კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემი რესპოდენტი მაინცდამაინც არ უნდა ჰგავდეს მაქს ფრიშის გმირს, რომელსაც თუნდაც ოცი წლით გადაკარგულს, ცოცხალი თავით ვერ ათქმევინებ, სად იყო. და თუმცა მაინცდამაინც არ ჩავეძიებოდი — სად იყავით სამი თვის განმავლობაში-მეთქი, მან მეც, ჩემს მკითხველსაც და იმათაც, ვისაც მისი გაუჩინარებით შეიძლება მონატრებაც მოეძალა, თავად დააკმაყოფილა ცნობისმოყვარეობა:

— მე არ ვესწრებოდი არც პარლამენტისა და არც კოლეგიის სხდომებს, იმის შემდეგ, როცა ვიგრძენი, რომ ჩვენი კომისიის მიერ წამოყენებული უაღრესად აქტუალური საკითხებს არათუ განხილვის საგნად, უბრალო რეპლიკითაც აღარ უპასუხებდნენ. მე დავბრუნდი პარლამენტში მას შემდეგ, როცა ზემოხსენებული საკითხები მისი მუშაობის დღის წესრიგში დადგა. იმას კი ვერავინ დამწამებს, რომ ეს სამი თვე უქმად ვიყავი — პარლამენტს შეუძლია ყური არ მოგვიგდოს, მაგრამ კანონშემოქმედებით მუშაობას ვერავინ დამიშლის.

* * *

ისევ დიალოგი — ნაცნობი და ასე ვთქვათ, შინაური სიტყვა, რომელიც ბოლო წლების პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე, ლამის ყველა კონტექსტში, ხმარებული, პოპულარული სიტყვაა. მე კი გულწრფელად მინდა, მჯეროდეს დიალოგის, მაგრამ რა ვუყო იმ ადამიანს, ვისიც აგრერიგად მჯერა: „ცხოვრებაში არ არსებობს დიალოგი. არსებობს ორი მონოლოგი, რომელსაც დიალოგის ფორმით ერთმანეთს უკითხავს ორი ადამიანი. დიალოგი არსებობს მხოლოდ პიესაში, რადგან იქ ერთია დრამატურგი". (დიმიტრი ხაზოლოვი).

ზაირა ჩომახაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

გამდიდრების გზა ექვსი

გაპირდა ცხოვრებამ, აღარც ვიცი, რა ქვა გავტეხო, რა წყალს ვეცე, შიმშილი კართან ამტუზებია, ცოლ-შვილს მაინც არ მოვკიდებოდი. ჩემი თავი ჯანდაბას, ბალნები რითი ვარჩინო, რა შეუბრალებელი და მკაცრი დრო მოდის, გავუტურამბელდით ერთმანეთს ადამიანები. ასე მგონია, ხიდისთავშიც რომ დავჯდე და ქუდი მოვიდო გვერდზე, მოწყალებასაც არავინ გამიმეტებსო. შენ მეუბნები.

არ გრცხვენია შერმადინ? მე რომ მკითხო, გამდიდრება ახლა რაა, ასე ადვილი არასოდეს ყოფილა. აგერ ჩამოგითვლი ფულის შოვნის რამდენიმე უებარ საშუალებას და თვითონ მიხვდები, რომ ცოტა ხელის განძრევაა საჭირო და სხვა არაფერი. თავის განძრევა საჭირო არ არის. ყველაზე ადვილი გზებიდან დავიწყებ და ზევითზევით შევყვები, შენ რომელიც მოგეწონება, ამოირჩიე და მიჰყევი საქმეს. რამდენი მოხვიდე და მლოცო ერთი თვის მერე, იმდენი გახარება ჩემს ნაგრამ-ნაშიერს.

პირველი: ცარიელი ყუთის შოვნა არ გაგიჭირდება, ამოუჭედე თავი, ფულის ჩასაგდები ღრიჭო დაუტოვე, დააწერე დიდი ასოებით „დაეხმარეთ ობოლ ბავშვებს“ და დადგი რომელიმე ხალხმრავალ ქუჩაზე. უკეთესია, ტროლეიბუსის გაჩერებასთან, ან მეტროს ამოსასვლელთან. შენ ახლომახლო გაჩერდი. რატომაა, თუ იცი, საჭირო შორიახლო შენი გაჩერება? ჯერ ერთი, ობოლი ბავშვების რომელიმე გულშემატკივარს, შეიძლება, ფულის დახურდავება დასჭირდეს; მეორეც, იქნებ ისეთმა ხვადაგმაც ჩამოიაროს, ობოლი ბავშვები ფეხებზე რომ ჰკიდია. მიიხედ-მოიხედოს, და, თუ შენ — ობოლთა დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელი, ვერსად დაგლანდა, ამოიღლიავოს ყუთი თავის წარწერა-თანხიანად, წაიღოს, გაიტაცოს, რათა თავის წვრილმან, საზოგადოებისთვის სრულიად უსარგებლო, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს.

საღამოისხანს წაიღე ყუთი შინ, ობოლ ბავშვთა მოყვარულებს გულში მადლობა შეაწირე და დილით ცარიელი დააბრუნე. უმჯობესია, ყუთს ხშირად ადგილი შეუცვალო, ისე, ყოველ შემთხვევისათვის.

მეორე: მოძებნე სადმე ქუჩის პირას ნახევრად მიტოვებული ან, უფრო უკეთესი, მთლადმიტოვებული სარდაფი. კარის თავზე (ცოტა მარჯვნივ) გააკარი მუყაოს ქაღალდზე დიდი ასოებით დაგვირისტებული წარწერა: „გვარდიას სცივა. გვარდიას შია, შენ არ ეხმარები?!“ დაიდგი სარდაფის შუაგულში ერთი მაგიდა, გვერდით, დამაჯერებლობისათვის, კომპანიონი (ეს უკანასკნელი, უმჯობესია, მშვენიერთა სქესის წარმომადგენელი იყოს) მოისვი და შემოწირულობათა დავთარში გატარება არ დაგავიწყდეს. ორ დღეში ერთხელ სარდაფი უნდა დააცარიელო და შემოწირულობანი შინ წაიღო. გვარდიაზე გული ნუ დაგწყდება, გვარდიას შენზე უკეთესი პატრონები ჰყავს.

მესამე: პირველ და მეორე გზას, შენც შეატყობდი, ცოტა უხერხულობები ახლავს. ჯერ ერთი, ობოლ ბავშვებს ზოგიერთები კუპონებითაც ეხმარებიან და, შენ წარმოიდგინე, ხუთკუპონიანს ან, რაც უფრო გულსაწყენია, ზოგჯერ ერთკუპონიანსაც აღმოაჩენენ ყულაბაში. წვრილი, თითქმის გამოუსადეგარი ფულის სუროგატების თვლა, ჩემგან რა გეწყინება, მოსაწყენი საქმეა. ასევე შეცივებული გვარდიელების დასახმარებლად ზოგმა ახირებულმა შეიძლება გაცვეთილი, მისთვისაც კი სრულიად უვარგისი „ბატინკები“ შემოგთავაზოს, რაც არ მოგეწონება, უკან ხომ ვერ გაატან: — „გვარდიელები ამას არ მიიღებენო“, სხვა გზა არ არის, უნდა მიიღო და ჟურნალშიც გაატარო. ასე რომ, გვარდიელებისათვის შემოწირული კონსერვ-ხამ-ტალავარის ბაზარზე გასაღებაც არ არის იოლი საქმე, ამიტომ მესამე, უფრო სუფთა, გზას შემოგთავაზებ: წეღან რომ მუყაო გიხსენე, ის მუყაო გადმოაბრუნე და უფრო დიდი ასოებით დააწერე „ოქრო მხოლოდ სამშობლოს განთავისუფლებლად“, შენ და შენმა კომპანიონმა (ამ შემთხვევაში არა მარტო „უმჯობესია“ არამედ აუცილებელია ქალი იყოს) ინათხოვრეთ აფთიაქის ან ოქრომჭედლის სასწორი, მოიდგით გვერდზე და დაელოდეთ საქორწინო ოქროს ბეჭდებს, ან ძვირფასი თვლებით მოოჭვილ სამაჯურებს, სამშობლოს გათავისუფლების საქმეს, არცთუ მცირეოდენი ყოყმანის გარეშე რომ შესწირავენ ღარიბი და ნახევრად ღარიბი ადამიანები. ოქრო აუცილებლად უნდა აიწონოს. ძვირფასი თვლის სახელწოდება ზუსტად ისე უნდა ჩაიწეროს, როგორც შემომწირავი ბრძანებს. გახსოვდეთ, შემომწირველს არ ეკამათებიან. ზოგმა, იქნებ, გამეტებული თვალი უფრო ძვირფასად მოგახსენოთ, ვიდრე სინამდვილეშია. მერე რა ბოლოს და ბოლოს ხომ არ ყიდულობენ, ხოლო სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდსა თუ მცირე განძეულს თავისი ადგილი აქვს. ეჭვი რომ გაიფანტოს, ხანში შესულ შემომწირველს ერთსა და იმავე ჟურნალში ორ ადგილას მოაწერინეთ ხელი და გასვლისას ეროვნული ხელისუფლების სახელით მადლობა გადაუხადეთ. თანაც აცნობეთ, რომ მის წვლილს თაობები არ დაივიწყებენ. ყოველ საღამოს შემოწირული ოქრო-ვერცხლი, „აქ დატოვება საშიშიაო“ მოტივით, შინ წაიღე და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. ეროვნული მოძრაობა? შენ დარდი ნუ გაქვს, იგი საქართველოში უახლოეს ორ წელიწადში არ განახლდება.

მეოთხე: ბანკის შექმნაზე ადვილი ახლა არაფერია. შენც დააარსე ბანკი სახელწოდებით „მხოლოდ თქვენს მოსაგებად“. რეგისტრაციაში ნუ გაატარებ, აუცილებელი არ არის. ჯერ ერთი, გადასახადს შეგაწერენ და მეორეც, შეიძლება საქმე გაგიხლაფორთდეს. გაზეთებში განცხადებები გამოაქვეყნე (კარგი იქნება თუ ქუჩაში გააკრავ): ბანკი — „მხოლოდ თქვენს მოსაგებად“ ერთადერთი ბანკია მსოფლიოში, რომელიც მხოლოდ მეანაბრეთა მოგებისათვის ზრუნავს. თვით ბანკს თქვენი კაპიკიც არ სჭირდება-თქო. შემოიტანეთ თანხა, რამდენიც მოგეხერხებათ; ჯერ ერთი, საიმედოდ შეგინახებათ და, რაც მთავარია, ორ წელიწადში გათხმაგებით (ინფლაციის გარეშე) დაგიბრუნდებათ-თქო. თვალე ფულები და აწყვე უჯრაში. მეანაბრეს, თუ მაინცდამაინც ქვითარი გამოუწერე. არაფერია ქვითრები იაფია საკანცელარიო მაღაზიებში, ქვითარი თვითმიზანი როდია, მაგრამ მაინც გამოუწერე და ხელი გაკვრით გაურკვევლად მოაწერე. რა გინაღვლება, ადამიანებს ქაღალდებისა ჯერ კიდევ მტკიცედ სჯერათ. შენ მეტყვი, ანალოგიურ საქმეზე ამას წინათ ხომ ჩავარდნენ სხვებიო. გეთანხმები, მაგრამ იმ „ბანკირებმა“ სულსწრაფობა გამოიჩინეს; სამ თვეში გაგისამმაგდებათ ფულიო. სამი თვე ცოტა დროა შენ ორ წელზე ნაკლები არ დაუთქვა გულუბრყვილო მომხმარებელს გათხმაგებული ფულის მისაღებად. ორ წელიწადში, იქნებ, ღმერთმა ნუ ქნას და არც ეს ხელისუფლება იქნეს და არც გამომძიებამ მოკიდოს ხელი სოკოებივით გამრავლებულ პინგვინ-მოტყუებულთა ასეთ საქმეებს.

მეხუთე: გატყობ, ჩემო შერმადინ, რისკიანი კაცი არა ხარ, შიში გაილანდა შენს თვალებში. მერე მე არაფერი მომივაო? დაგეწერა მაგ საყვარელ სახეზე. ახლა, რაკი ასეა, მეხუთე და მეექვსე მთლად უხიფათო გზებს შემოგთავაზებ.

ახალგაზრდა ქვრივთა და გასათხოვარ მანდილოსანთა, ასევე დაჯერებულ, უიმედოდ უცოლო მამაკაცთა გასამხნევებლად დააარსე კლუბი სახელწოდებით „მხოლოდ გაცნობა“. იცოდე, შინაბერებს ყველაფერზე მეტად ოჯახის შექმნისა ეშინიათ. ამიტომაც სარეკლამო ფურცლებში გასაკვირად ჩაწერე — ჩვენი კლუბი სხვა მსგავსი კლუბებისაგან განსხვავებით, მოპირდაპირე სქესის პიროვნებასთან გაცნობის დაგვირგვინებას ოჯახის შექმნით არც ერთ მხარეს არ ავალდებულებს-თქო. „მხოლოდ გაცნობის“ უამრავი მსურველი მოგაწყდება. შენ, დირექტორმა და შეთავსებით მთავარმა ადმინისტრატორმა, ფეხი ფეხზე გადაიდე. კლუბში შესასვლელი ბილეთი გამოცდილ გამცნობელთათვის თანდათანობით გააძვირე. და რჩევის სახით ნუ (შეგრცხვება) შესთავაზე: მამრობითი სქესის მომხმარებელმა, სასურველია გაცნობისათვის საჭირო ალკოჰოლიანი (გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება უალკოჰოლოც) სასმელი თან მოიტანოს-თქო. გაფრთხილებ, თექვსმეტ წლამდე მომხმარებელს კლუბში ნუ შეუშვებ. ზედა ასაკს ნუ განსაზღვრავ. ამის გარდა მხედრიონელთა და გვარდიელთათვის შესვლა უფასო იყოს, ქველმოქმედებაში ჩაგეთვლება. საერთოდ ფორმიან კაცს რომ დაინახავ, მოწიწებით ელაპარაკე, ხომ შეიძლება, მართლაც მხედრიონელი, ან გვარდიელი, ან უკიდურეს შემთხვევაში პოლიციელი აღმოჩნდეს. სამხედრო ფორმა ყაჩაღების გარდა, ზოგჯერ ზემოთხსენებული სამსახურების ჭეშმარიტ წარმომადგენლებსაც ხომ აცვიათ.

სხვა მხრივ საშიშროება არაფერი გელით. ყიდე ბილეთები და ხარჯე კლუბის ჯანმრთელ სტუმართაგან შემოსული ალალი, დაუყვედრებელი ფული.

მეექვსე: გამდიდრების ამ გზებიდან მეექვსე ყველაზე უსაფრთხოა. ბიოველით მკურნალი გახდი. რომელიმე ნამდვილ ექიმს ჩამოათვლევინე ყველაზე გავრცელებული დაავადებანი, იმ დაავადებებს შენი ინიციატივით დაუმატე კიბო და გამოაცხადე: შიდსის გარდა ყველა დაავადებას ვარჩენ-თქო. შიდსის მორჩენას ნუ დაიბრალებ, ამ ხაზით პაციენტი მაინც არ გეყოლება. შიდსით დაავადებულნი სამკურნალოდ არ დადიან, თუ ბევრი პაციენტი მოგაწყდა. სეანსი ჯერ უკიდურესად შეამოკლე, მერე ფსიქოთერაპიაზე გადადი, დიდი დარბაზი დაიქირავე და დუმილით მკურნალობის სეანსები ჩაატარე. მდუმარე დარბაზში (მით უმეტეს, თუ ცხელა) ნახევარზე მეტს, თვით შენი დახმარების გარეშეც ჩაეძინება, ახალგამოღვიძებული კი ცოტა ხანს მაინც მხნედ გრძნობს თავს. ესეც შენი ფსიქოთერაპია. საერთოდ ექსტრასენსობა შეითავსე. მკურნალობის ამ სამ (ბიოველი, ფსიქოთერაპია, ექსტრასენსი) სახეს შორის დიდი განსხვავება არ არის, თუ ავადმყოფებმა თავი მოგაბეზრეს, დისტანციურ მკურნალობაზე გადადი. სამწუხაროდ, ტელემკურნალობა და რადიომკურნალობა აიკრძალა. მაგრამ დარჩა მანძილთმკურნალობის ორი ფორმა: წერილმკურნალობა და ფოტომკურნალობა. გამოაცხადე გაზეთში: წერილით მაუწყეთ დაავადების შესახებ და ოჯახის იმ წევრთა სახელები გარკვევით ჩაწერეთ, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ-თქო. ჰონორარი განკურნების შემდეგ გამოგზავნეთ, ოღონდ უმორჩილესად გთხოვთ, მკურნალობის გაადვილების მიზნით, თითო წერილში ხუთი პაციენტის სახელზე მეტი ნუ იქნებათქო. ამას წერილმკურნალობა ჰქვია. ფოტომკურნალობა წერილმკურნალობის გაუმჯობესებული და უფრო გარანტირებული ფორმაა: კონვერტში პაციენტის სახელთან ერთად მისი ფოტოსურათიც უნდა იდოს. ფოტოსურათის ზომას მნიშვნელობა არ აქვს.

გამდიდრების ამ ფორმასაც ახლავს, ჩემო შერმადინ, ერთი მცირე გაფრთხილება: მკითხავ-ვარდობა და გულთმისან-წინასწარმეტყველობა არ დაიწყო. არ გინდა სახელის განთქმის ამგვარი მისნობა-მიხვედრანი: „მავანსა და მავანს გუდაუთაში კარგა ხანია ვერ ვხედავ, თვენახევრის გარდაცვლილია და მოსკოვის ერთ-ერთ მორგმაცივარში ინახავენ“... ხომ იცი, ტელევიზიას დიდი თვალი აქვს. გადაიღებენ წალკოტში მჯდომ, მხნედ მოსაუბრე, მაცივრიდან გამოყვანილ შენს გმირს და შერცხვები. რატომ იტკივებ აუტკივარ თავს. ოქრო ხელობა გაქვს! ბოლოს და ბოლოს უნიკალური ფსიქოთერაპევტი, ბიოველიანი მკურნალი და სწორუპოვარი ექსტრასენსი ხარ.

თუ გამდიდრება-ლაღი ცხოვრება მოგწყინდეს და როგორც ქართველთა უმეტესობას სჩვევია, მთავრობისაკენ გაგიწიოს გულმა, ერთ საიდუმლოებასაც გაგიმხელ: ჩამოწერე ათი-თორმეტი ნათესავ-ძმაკაცის გვარი. ახალი პარტია შეიქმნა-თქო, გაატარე რეგისტრაციაში. პირველი ხუთი გვარი (იმ თორმეტიდან) არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად წაახალისე შენ, რასაკვირველია, ნომერ პირველი იქნები. მართალია, დეპუტატობისათვის საკმარის ხმებს ვერ მოაგროვებთ, მაგრამ კომპენსაციის მეთოდით (ახალ პარტიას გული არ დაუწყვიტოთო, იტყვიან) შენ და შენი მომდევნო მეორე ნომერი უეჭველად გახვალთ დეპუტატებად.

მერე ქე მიხედე შენს თავს. ამ ბოლო გზას ჩემთვის ვიტოვებდი, მაგრამ ისე მონდომებით მისმენ, ვერ დავმალავ და გაგიმხილე. ახლა, რაკი აქამდე მიგიყვანე და გაგადეპუტატე, ერთ რჩევასაც მოგცემ, პარლამენტის სხდომებზე მაინცდამაინც ნუ იაქტიურებ.

რაც ნაკლებს ილაპარაკებ, ნაკლებ სისულელეს იტყვი.

* * *

შერმადინმა თეთრი, კეპიანი ქუდი მოიხადა, დაცვარულ შუბლზე გაისვ-გამოისვა. წარბებამდე ჩამოიფხატა, წამოდგა და მოწყენილი ხმით მკითხა:

— რომელია შენთან?

საათიანი მაჯა ვუჩვენე.

— ნახე, სათვალე შინ დამრჩა.

— ოთხი სრულდება, მეტი მეგონა. სწორია?

— არ ვემდური, შიგდაშიგ რჩება ხუთი წუთით.

— იცის.... კარგად აბა.... დიდი მადლობა.

— კარგად იყავი. !

ტროლეიბუსის გაჩერებისკენ გაიბიჯა. იქნებ მეჩვენება, მაგრამ ფეხებს ისე მიათრევს, თითქოს მძიმე ტვირთი უმძიმებს მხრებს.

ცხელა.

ეს ორი დღეა ზაფხულმა იზაფხულა. აქამდე თითქმის ყოველდღე წვიმდა. რაღაცნაირი უსიამო, ცივი გაზაფხული გადავიტანეთ.

შინ ნაშუადღევს დავბრუნდი.

მაღალი სახლების ჩრდილს გარაჟებს შუა ჩაჭეჭყილი ეზოები მოლომდე ამოვყვა.

სადარბაზოში შესულს წრიპინი მომესმა.

ჩამოგდებულ საფოსტო ყუთთან შიმშილისაგან ღონემიხდილი, ფერდებჩაცვენილი ვირთხა ჩაცუცქულიყო და თავისი ვირთხული თვალებით ვირთხისთვის სრულიად შეუფერებელი სითამამით მიმზერდა.



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი.

საერთაშორისო ცხოვრება

„კატასტროფულ სანახაობას“ ჰგავს...

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება ვიცე-პრეზიდენტისა და ვიცე-პრემიერის დროებით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, მეხივით გავარდა მსოფლიოში. რუსეთის უზენაეს საბჭოსა და პრეზიდენტს შორის ატეხილი პოლემიკა, რომელიც წამლავს პოლიტიკურ ცხოვრებას, კულმინაციას უახლოვდება. ამ ვითარებიდან თავის დაღწევის მიზნით პრეზიდენტმა რადიკალურ, მაგრამ უფრო სიმბოლურ ხერხს მიმართა. ეკონომისტების აზრით, ინფლაციის გამო, სოციალური მღელვარება გაცილებით დიდი იქნება სექტემბერ-ოქტომბერში და ამ ამბავს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დისკრედიტირებული შეხვდება. ცნობილი ეკონომისტის აბალკინის მიხედვით, რუსეთში წარმოების დაქვეითება წლის ბოლომდე 12-15 პროცენტს მიაღწევს, ინფლაცია 9-11-ჯერ გაიზრდება. სამომხმარებლო ფასები 1991 წლის დეკემბრიდან 280-ჯერ გაიზარდა.

ორი წელი გავიდა აგვისტოს პუტჩის და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და, როგორც ფრანგული „ფიგარო“ აღნიშნავს, ვითარება ყოფილ საბჭოეთსა და რუსეთში „კატასტროფულ სანახაობას“ ჰგავს. ეკონომიკური ცხოვრება დეზორგანიზებულია, აშკარად იგრძნობა მატერიალური და მორალური ფაქტობრივი რეგრესი, ავადმყოფობის მიზეზი მძიმე მემკვიდრეობაა, საიდანაც თავის დაღწევა საკმაოდ ძნელი იქნება. გაცილებით იოლია ქარხნების, ეკონომიკური კავშირების, ხელისუფლების ინსტიტუტების ნგრევა, ვიდრე აღმშენებლობა, ადამიანთა ფიზიკური და მორალური მთლიანობის აღდგენა. დაშვებულია ისეთი შეცდომები, რომლებიც იმათი ბრალია, ვინც რუსეთს ხელმძღვანელობს. თუ თვალს გადავავლებთ თუნდაც უკანასკნელ სამ წელს, ნათლად დავინახავთ, რომ ეროვნული ძალები, რომლებიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სათავეში მოვიდნენ, ვერ აღმოჩნდნენ ქვეყნის მართვის მოწოდების სიმაღლეზე. ქვეყნის საჭის ელემენტარულ ტრიალს ამ საქმის მინიმალური ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროება, რაც ეროვნული ძალებისაგან ძალიან შორს იყო. თანამდებობების განაწილება, ხელმძღვანელ პოსტებზე მხოლოდ „ჩვენიანის“ პრინციპით დანიშვნა დამღუპველი აღმოჩნდა არა მარტო ეკონომიკისთვის, არამედ სოციალური ყოფა-ცხოვრებისთვისაც, რამეთუ მას მოჰყვა საქმეში ჩაუხედაობა, არაკომპეტენტურობა, სიღარიბე, რეგიონული კონფლიქტები, ძმათა შორის სისხლის ღვრა და, რაც მთავარია, კორუფცია.

მთელ ამ ჩამოთვლილ ნეგატიურ მოვლენებს ეროვნული მოძრაობა კოზირად იყენებდა კომუნისტების წინააღმდეგ. მაგრამ, ჩაიგდეს რა ძალაუფლება ხელში, ცდუნებამ იძალა და მათაც არაფერი დაიშურეს საკუთარი გამდიდრებისთვის, ცხადია უპატიოსნო გზით, რითაც ტოლი არ დაუდეს წინამორბედ კომუნისტებს, ოღონდ ერთი განსხვავებით: თუ კომუნისტური რეჟიმის დროს დაუწერელი კანონი არეგულირებდა ქრთამის აღების ფორმა-ზომას და იერარქიაში გამდიდრებისათვის საკმაო დრო იყო საჭირო, ეროვნული ხელისუფლების დროს ეს პროცესი საშაღრაკო ბლიც-ტურნირს დაემსგავსა.

არაკომპეტენტური საკადრო პოლიტიკა მომაკვდინებელი აღმოჩნდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის. ქვეყნის სათავეში მოსული ეროვნული ხელისუფლება უცოდინარობის და ამბიციურობის შედეგად ზედიზედ უშვებდა უხეშ შეცდომებს ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ დარგში, საგარეო ურთიერთობაში, ხელისუფლება და პოლიტიკა ვერ იტანს დილეტანტებს. არა მარტო ყოფილ საბჭოეთში, არამედ ყოფილ სოციალისტურ ბანაკში დაშლამდე მივიდა ისეთი მასობრივი სახალხო მოძრაობა, როგორიცაა პოლონეთში „სოლიდარობა“, ლიტვაში „საიუდისი“, უკრაინაში „რუხი“. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები (მათ ეს საწყენად არ უნდა მიიღონ) — პოეტები, მწერლები, მუსიკოსები და დისიდენტები ცოტათი მოშორებით უნდა იყვნენ პოლიტიკისა და ხელისუფლებისგან. ეროვნული მოძრაობის დილეტანტიზმმა პოლიტიკასა და მართვაში გამოიწვია ის, რაც დღეს ხდება — ყოფილი კომუნისტების მასობრივი დაბრუნება ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მათ სწრაფად შეძლეს გადასხვაფერება“, შეიცვალეს იდეალები და რწმენა, რესპუბლიკების სათავეში „ყოფილების“ მოსვლა კანონზომიერი გამოდგა, ვინაიდან ეროვნული მოძრაობის წიაღიდან გამოსული ლიდერები მოუმწიფებლები აღმოჩნდნენ ხელმძღვანელობისთვის. რაც შეეხება „ყოფილების“ მოსვლას ხელისუფლებაში, მას მეორე მხარეც აქვს — ხომ არ გამოიწვევს ის ძველი ცხოვრების დაბრუნებას? „ყოფილებში“ ბევრია ისეთი, ვისაც ეს სურს...

რაც შეეხება დემოკრატიულობას, აქაც ხდება კომუნისტების დროინდელი მეთოდების თანამედროვეობაში გამოყენების ფაქტები. სხვაგვარად ვერ ახსნით პრეზიდენტ ელცინის გადაწყვეტილებას — ვიცე-პრეზიდენტისა და ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან დროებით გადაყენების შესახებ. ამ ნაკლებად ლეგიტიმური გადაწყვეტილების შესახებ ბევრს წერენ უცხოეთში. ელცინის სურვილი, ჩამოიშოროს თავისი ვიცე-პრეზიდენტი, გასაგებია პოლიტიკური თვალსაზრისით. მაგრამ აშკარად ეწინააღმდეგება კანონს. რუსეთში მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, ვიცე-პრეზიდენტი თავისუფლდება თანამდებობიდან სასამართლოს გადაწყვეტილებისა და პარლამენტის თანხმობის შედეგად. ელცინი ისეთ მეთოდებს იყენებს მოწინააღმდეგეების მისამართით, რომლებსაც „ყოფილები“ იყენებდნენ მის მიმართ.

რაც შეეხება რუცკოის, ის დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ელცინისა და მისი გუნდის სახით რუსეთში ახალი დიქტატურა ყალიბდება, რომლის ძირითადი მიზანია ყველა უკანონო ქმედების ლეგალიზება. რუცკოის აზრით, პრეზიდენტი და მისი გუნდი ვერ დააღწევენ თავს ეკონომიკის დაქცევისა და ქვეყნის გაჩანაგებისთვის პასუხისმგებლობას და ამიტომაც ცდილობენ უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაზე. უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლა მხოლოდ არჩევნების გზით შეიძლება. რუცკოის მიაჩნია, რომ ერთდროულად უნდა ჩატარდეს როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის არჩევნები. ცხადია, ამ აზრს ნაკლებად იზიარებს ელცინი, რომელიც ფიქრობს, რომ უკვე შემოდგომით უნდა მოეწყოს საპარლამენტო არჩევნები.

დასავლეთში რომ შეშფოთებულები არიან ყოფილ საბჭოეთში მიმდინარე პროცესებით, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ იშვიათად თუ ნახავთ ამა თუ იმ ქვეყნის გაზეთს, სადაც არ იყოს სტატია ყოფილ საბჭოეთის შესახებ. წერენ ეთნიკურ კონფლიქტებზე, სისხლისღვრაზე, კორუფციაზე, ბანდიტიზმზე, იმაზე, რომ ყოველივე ეს იწვევს არათუ უცხოური კაპიტალის შემოსვლას, არამედ რუსეთის და სხვა რესპუბლიკების მეწარმეების მიერ მსოფლიო ბანკებში კაპიტალის გადაქაჩვას. აღნიშნავენ იმასაც, რომ უცხოელს ძალიან უჭირს ყოფილ საბჭოეთში მუშაობა. უცხოეთს აშფოთებს ბირთვული იარაღის ბედიც. ჯერაც გაურკვეველია, თუ რა გზას დაადგება უკრაინა. აიღებს თუ არა ხელს ბირთვულ იარაღზე, რომელიც დარჩა მის ტერიტორიაზე. ელცინ-კრავჩუკის ბოლო შეხვედრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ელცინის აზრით ყველაფერი რიგზე იქნება და უკრაინელები დათანხმდებიან ამ იარაღის განადგურებას. მაგრამ უკრაინის პრეზიდენტი სულ სხვა განმარტებას იძლევა. პოლიტიკური ქაოსის დროს სავსებით შესაძლებელია ბირთვული იარაღის კომპონენტების უცხოეთში გაპარვა, და ვინ იცის ვის ხელში აღმოჩნდება ის.

ყოფილ საბჭოეთში არსებულმა მძიმე ეთნოკონფლიქტებმა და ომებმა, რასაც დასასრული არ უჩანს, აფიქრებინა კლინტონის ადმინისტრაციას უფრო აქტიურად ჩაერთოს სამშვიდობო პროცესში. ამას ემსახურებოდა პრეზიდენტ კლინტონის დირექტივა, რომლის მიხედვით აშშ-ს წარმომადგენლები უკვე საგნობრივად იმოქმედებენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არა მარტო დიპლომატიური ხერხებით და მეთოდებით, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც. დირექტივა გამორიცხავს ცხელ წერტილებში გამშველებლის როლში რუსეთის ჯარს, ვინაიდან მას ტენდენციურობას და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებას აბრალებენ. კლინტონის დირექტივამ გაამწვავებული კრიტიკა გამოიწვია ანტიელცინელების ბანაკში. ისინი ამბობენ, რომ აშშ-ს გადაწყვეტილი აქვს რუსეთის სამუდამო დაჩოქება, მიუხედავად ასეთი ანტიამერიკული განწყობილებისა, კლინტონის ადმინისტრაცია კატეგორიულად სთხოვს კრემლს დაიცვას თამაშის წესები. ეს ნათლად გამოჩნდა რუსეთის პრემიერისადმი მკაცრ მოთხოვნაში, რომელიც ჩერნომირდინს წაუყენეს თეთრ სახლში სტუმრობისას. როგორც ვიცით, ელცინის რეფორმებისათვის მხარის დაჭერის მიზნით ამერიკამ გადაწყვიტა დახმარების გაწევა, მაგრამ ეს დახმარება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ პოლიტიკას დაადგება რუსეთი. ე. ი. რუსეთს ვაშინგტონი უკარნახებს, თუ როგორ მოიქცეს და თუ არ მოეწონება ელცინის მოქმედება, აღარც ამერიკული დახმარება იქნება. ასეც მოხდა ლიტვიდან რუსის ჯარის გამოყვანასთან დაკავშირებით. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთი აჭიანურებს ჯარის გამოყვანას ამ ბალტიისპირა ქვეყნიდან, და თუ 6 ოქტომბრამდე არ გადადგამს ასეთ ნაბიჯს, მაშინ აშშ-ი გადაკეტავენ ტექნიკური დახმარების ონკანს და რუსეთი დარჩება 700 მილიონი დოლარის გარეშე. ამერიკაში სულ უფრო ხშირად გაისმის მოთხოვნა შეუწყვიტონ დახმარება რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. ისე კი უნდა ითქვას, რომ ჰუმანური დახმარების გარდა ჯერ-ჯერობით სხვა არაფერი ამოქმედებულა, მათ შორის ის 1,8 მილიარდი დოლარიც არ მიუღია რუსეთს, რომელიც კლინტონმა აღუთქვა ელცინს ვანკუვერში შეხვედრის დროს. რაც შეეხება უძლიერესი „შვიდეულის“ ტოკიოს შეხვედრაზე გადაწყვეტილ 3 მილიარდი დოლარის რუსეთისთვის მიცემას, ჯერაც გაურკვეველია, თუ როდის მიიღებს ამ თანხას რუსეთი. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სხვისი შემყურეობა ვერაფერი იმედია.

ვაშინგტონში როგორც იქნა მიხვდნენ, რომ უზარმაზარი ბირთვული სახელმწიფო დაშლილი ეკონომიკითა და კორუმპირებული ხელმძღვანელობით [illegible] ამერიკას და მსოფლიოს სტაბილურობას უქმნის საფრთხეს და ეს საფრთხე გაცილებით ძლიერია, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროინდელი. მაშინ საბჭოთა კავშირის შიგნით გარკვეული წესრიგი სუფევდა, არ ხდებოდა ის, რაც დღეს ხდება და რის შესახებაც სისტემატურად იბეჭდება სტატიები დასავლეთის პრესაში. ნიმუშად ერთ ფრანგულ გაზეთ „კრუას“ მოვიყვან. აი რას წერს იგი: „წელს სამართალდარღვევათა რაოდენობამ გასული წლების რეკორდები მოხსნა, ადმინისტრაციული ორგანოები უძლურნი არიან რაიმე იღონონ იმისთვის, რომ ბოლო მოეღოს „სისხლიან ანგარიშსწორებას“, მაფიოზური ჯგუფები გაცილებით უკეთ არიან შეიარაღებულები და ეკიპირებულები, ვიდრე მილიცია. მაფიოზები ქრთამით ახერხებენ საქმის „გაიმასქნებას“ შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელიც ცნობილია, როგორც ქრთამების მოყვარული ორგანიზაცია. მილიციელები ხშირად საყვედურობენ, რომ ბანდიტები, რომლებიც მათ დანაშაულის ადგილზე დაიჭირეს, თავისუფლად დასეირნობენ ქუჩაში. ეს კი ხდება სამინისტროს მაღალი რანგის მოხელეთა ანგარიშით ჩარევის შედეგად. უსაფრთხოების გარანტიის უქონლობა აფერხებს მეწარმეობის განვითარებას. ის, ვინც ფულს შოულობს, საფრთხეში იგდებს სიცოცხლეს. ამიტომაცაა, რომ რუსები და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები საზღვარგარეთ აბანდებენ კაპიტალს. იმასაც ამბობენ, რომ ელცინს რომ მოეღო კორუფციისა და ბანდიტიზმისათვის, ხალხი ყველაფერს აპატიებდა, იმასაც, რასაც ცხოვრების დონის აშკარა დაქვეითება ჰქვია. მაგრამ, როდესაც პოლიტიკური ხელმძღვანელობა ერთმანეთს ეჭიდავება და ბრალს სდებს, თუ ვინ რამდენი მოიპარა, ხალხს მხოლოდ ერთი აზრი უჩნდება: ქვეყნის სათავეში ყველაფერი დამპალია და სასწრაფო შეცვლას მოითხოვს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტიკური მიმომხილველი.

დამთავრდა მოლაპარაკების მეხუთე რაუნდი

6-დან 10 სექტემბრამდე თბილისში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დელეგაციების მორიგი, მეხუთე რაუნდი.

დელეგაციებმა დაამთავრეს მუშაობა ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ტექსტზე. პრაქტიკულად მომზადდა ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების (რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე) სამართლებრივი სტატუსის შესახებ და შეთანხმება რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების სტატუსისა და ფუნქციონირების პირობების შესახებ, რომლებიც აგრეთვე დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სამხედრო საკითხებში შეთანხმებათა პაკეტიდან საბოლოოდ დაიხვეწა შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის წყლებსა და პორტებში სამხედრო ხომალდების ცურვის წესის შესახებ და შეთანხმება რუსეთის ფედერაციის მფრინავი აპარატების საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ფრენის უსაფრთხოების შესახებ.

სხდომებზე დიდი ყურადღება დაეთმო ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფის საკითხების განხილვას. სახელმწიფო დელეგაციების წინაშე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ომის ვეტერანები.

დელეგაციები კმაყოფილი არიან იმ დიდი სამუშაოთი ეკონომიკურ საკითხებზე, სახელშეკრულებო დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებით, რომელიც გასწიეს ორივე მხარის წარმომადგენლებმა, ისინი მონაწილეობდნენ მოლაპარაკებებში, რომელიც გაიმართა ე. შევარდნაძის მოსკოვში 1993 წლის 23 აგვისტოს სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებით. სხდომების მსვლელობისას საბოლოოდ დამუშავდა დამატება ურთიერთისათვის მნიშვნელოვანი საქონლის პროდუქციის მიწოდების ოქმზე 1993 წელს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. 1992 წლის შედეგების მიხედვით მხარეებმა დაადასტურეს შეთანხმების ტექსტი ტექნიკური კრედიტების დავალიანების გადაფორმების შესახებ.

განხილულ იქნა შეთანხმების პროექტი 1993 წლის კრედიტის შესახებ. ღიად დარჩა კრედიტის ზუსტი რაოდენობისა და მისი დაფარვის ვადების საკითხი. მხარეებმა განიხილეს ალტერნატიული პროექტები კრედიტის მიზნობრივი დანიშნულებისა და მისი ოდენობის შესახებ. სხდომის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს უახლოეს პერიოდში ტრანსპორტის საკითხებში ექსპერტების შეხვედრას, დამთავრდა მუშაობა კავშირგაბმულობის სფეროში თანამშრომლობის ტექსტზე. მხარეებმა მოიწონეს გადასახლების პროცესების რეგულირებისა და გადასახლებულთა უფლებების დაცვის შესახებ შეთანხმების ტექსტი. საბოლოოდ მომზადდა ქართველ-ოსთა კონფლიქტის ზონის რაიონების ეკონომიკური აღდგენის შეთანხმების ტექსტი. მხარეებმა მიზანშეწონილად ცნეს მიმართონ ორივე ქვეყნის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს დაჟინებით თხოვნით — მოაწესრიგონ სტატისტიკური მონაცემების რეგულარული გაცვლა, ხელი მოაწერონ, თუ ეს აუცილებელია, სათანადო უწყებათა შორის შეთანხმებას.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ნელი გაბრიჩიძე

მშვიდობის ქალღმერთი

გიორგი შხვაცაბაიას ქანდაკება „მშვიდობის ჩირაღდანი“ საბერძნეთში დაიდგა.

უნდა ხელახლა ვებრძოლო დელგმას,
ჰგავს ბურბუშელას ღრუბლის ნაღები.
ნეტავ მშვიდობის ქალღმერთი მერქვას,
მიხაქანებდნენ ცისკენ ტალღები.

რა სანეტარო, რა ანთებული
ვნებე ფრთოსანი ქალის ხატება
ვარ სასიკვდილოდ გადადებული
და ეს სინათლე სულს ემატება.

საით მიილტვი, ღვთიურო დაო, —
იქ დასასრული ჰპოვა მედეამ;
წამოშლილია მითების ხაო,
სიმწარეც, თვალით დაუნახაო.

უკან მოგიხმობს პრომეთეს ქედი,
თუნდ ოლიმპოზე ღმერთადაც იქცე,
კოლხური მიწის მოგქაჩავს მკერდი,
ტანჯულ მამულის ცისფერი სივრცე.

ვით ანგელოზი წმინდა ყინწვისის,
შენ რაღაც სხვა ხარ — სული მარტვილი,
ჯერ აქ ქმენ რამე მშობელ მიწისთვის,
რომ აღარ ვხარშოთ ცრემლში წანდილი.

მკლავების ნაცვლად ფრთებს გიშლის ქარი,
ანთებულ სანთლად ცას ეღვინთები;
...როგორ ეგონათ ეს მხარე მკვდარი,
სადაც ჩნდებიან დღესაც ღმერთები....

თავისუფლება

შეძრწუნებული ვარ ამ სინათლით,
ბრმას ამეხილა უეცრად თვალი,
ღმერთო, მართლა ხომ არ გადაწირავდი, —
გვარგუნე მიწა თავისუფალი.

ჩქარა ვარდები, მამულო, ჩქარა!
მსურს მოგილოცო... დავემხო... ჩოქვით....
ჩემო მოყვასო — ხარო წიქარა,
ვიღარ შეგბოჭავს ბორკილი, თოკი.

რაშო ფრთოსანო, ქართა ნაზიდნო,
გასწი, გაასწარ, გაცქარ ლაჟვარდს,
თავისუფლების გადასახედით
სიტყვა შევკადროთ ილიას, ვაჟას...

ო, ნუთუ მართლა მეც შევესწარი
და ამ ბადაგით ვარ გაწბილი,
ჰოი, სიმთვრალე,
ჰოი, ნექტარი,
გზა — უკვდავების მრავალწერტილი...

თავისუფალი ხარ, საქართველო,
შემოგვყავარე ბანგი უთქმელად,
დიდო რუსთველო,
დიდო შავთელო,
გულები ნუღარ დაგვეთუთქებათ.

დაძლეულია მწუხრი — კენტავრი,
გამოფხიზლება გველის ნეტარი
(თუმც ზღვა სიტკბოთი ვართ გაწბილი);
ჰოი სიმთვრალე!
ჰოი, ნექტარი!
გზა — უკვდავების მრავალწერტილი...

დუღს სიხარული

რამდენი ასი წელი გასულა,
ძვირფასო ჩემო, მიწავ მართალო;
აჰა, მოსხობის ხანა გასრულდა,
და აღარავინ აღარ გაგთვალოს...

სხვებმაც აიშვეს, ახსნეს, აეხსნენ,
ხელით წურავენ თაფლიან ფიჭებს,
დუღს სიხარული მათთან და ესეც
მოსწონთ აპრილით მოწამლულ ბიჭებს.

ბევრი დავკარგეთ მეხთატეხაში
ვერც კი ვუთხარით ერთურთს სათქმელი;
ახლაც — თითქოსდა ვიყოთ ტრანსში,
სულ სხვას დახტიან ქართველს ქართველი.

იყოს პირველთა შეხლა-შემოხლა,
იყოს ყივილი არწივთა შიშის,
მხოლოდ...შევნიშნოთ მაყვლის შემოხვლა
და ალუჩებში მოვარდნა დელგმის.

შევხედოთ — როგორ თრთიან ვაზები
(არ დაგვავიწყდეს შევხება ყანწის);
შორს, ვაჟკაცებო, ტყვია-ვაზნები,
თავისუფლება სამშობლოს აწვიმს.

ქალბატონებო — ჩიხტიკოპები
დავიბრუნოთ და... გვეწვევა შვება.
...უნდა დავმარხოთ ყველამ თოფები,
როგორც დროდადრო ხევსური შვრება...

ფესვები

როგორც დღესასწაულისთვის
საზეიმო კაბა,
ისე მინდა სულ ახალი,
ახლებური ლექსი,
მომეშველეთ, ბატონებო,
დიდო სულხან-საბა!
ვერ შევხედავ გალაკტიონს, —
გაჯავრდება ზევსი.
ვერც — პაოლოს,
ვერც — ტიციანს,
ვერც —მირზას,
ვერც — ლადოს,—
ლეონიძეს სტრიქონს რძიანს
ვესესხები მარტო;
ჩიქოვანის სერაფიტა
ამაზეღებს მაღლა,
გამიღიმებს გრიშაშვილი —
რა სიკეთეს მატყობს:
ჩემი ლექსი ვერ აფრინდა,
წვალობს, როგორც მახრა,
სხივი წყდება ტატნობს,
ვებრალები ტატოს...

მე თქვენს სათქმელს როგორ ვიტყვი,
ჩემიც მომკლავს ვალი,
ზღვა სიხარულს ვეჭიდები —
უბადრუკი, მართალი,
ეს — სამშობლოს გაახსენდით,
ვით იმედის რვალი,
და მოგაპყროთ ბედნიერმა
ცრემლიანი თვალი...

აღიარება

ხომ მოვიდა, ამოენთო,
ხმელსა შეიქმს რაიც ნედლად,
გაიხარე, ერთადერთო,
შენს მწე ღვთისმშობელთან ერთად

დაგინახა ცისქვეშეთმა,
დაგიძახა, გალიარა,
გადამალე, ერთადერთმა,
ყველა ცრემლი და იარა.

აირია ფერთა ბადე,
ცისარტყელად აიზიდა.
შენ... ხელახლა დაიბადე
შეჭირხლული აისიდან.

დღეს მსოფლიო — [illegible]
და შენს დროშას კოცნის ტარზე.
...საქართველოს კვირეული
გამოცხადდა პლანეტაზე.

1991

ინფორმაცია-93

იბერიის რენტგენი

თბილისი. 8 სექტემბერს მარნეულის რაიონის სოფელ წერეთლიანთან მოხდა შეტაკება მარნეულის გარნიზონის წევრებსა და „მხედრიონის" წევრებს შორის. შეიარაღებული შეტაკების შედეგად, დაიღუპა 1 სამხედრო და 1 მოქალაქე.

წინასწარი მონაცემებით, გარნიზონელებს უნდოდათ იმ პირების დაკავება, რომლებიც ძარცვავდნენ მოქალაქეებს.

თბილისი. 13-17 სექტემბერს, ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი) ჩატარდება ევროპარლამენტის მორიგი სესია, სადაც საქართველოს რესპუბლიკიდან მიწვეულია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხუთი წარმომადგენელი.

ხარჯები მათ მიწვევაზე მთლიანად გაიღო ქრისტიანულ-დემოკრატიული ფრაქციის ევროპის სახალხო პარტიამ.

სტატუსით საქართველოს რესპუბლიკის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლები ევროპარლამენტის ნამდვილ წევრებად ითვლებიან, მაგრამ, ჯერჯერობით, მხოლოდ დამკვირვებლის ფუნქციას ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ პროგრამიდან, ინტერესებიდან და იდეოლოგიიდან გამომდინარე, ყოფილი სსრკ რესპუბლიკებიდან ევროპარლამენტმა მიიღო და მიიწვია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლები.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროდან გვაცნობეს, რომ აშშ-ის მთავრობამ და საერთაშორისო წითელმა ჯვარმა მიიღეს გადაწყვეტილება დაეხმარონ საქართველოს ბავშვთა კვების პროდუქტებით. თითოეული მათგანი რესპუბლიკას გაუგზავნის 1.500 ტონა საკვებს.

პირველად უკვე ჩამოტანილია პირველი პარტია. პროდუქტის მთელ მოცულობას კი საქართველო [illegible] განკარგულებაში მიიღებს.

კვების პროდუქტები, თავისი კლასიფიკაციითა და ასაკის გათვალისწინებით, დაკომპლექტებულია ორი კატეგორიად — ორწლინახევრის ასაკის ბავშვებისთვის. ამასთანავე ისინი განაწილდება ბავშვთა სახლებსა და სამშობიარო სახლებში.

კვების პროდუქტების გაცემა მოხდება მხოლოდ ბავშვთა პოლიკლინიკებში.

ლტოლვილებმა უნდა მიაკითხონ პოლიკლინიკებსა და ტერიტორიულ ბავშვთა პოლიკლინიკებს, დროებითი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, კუთვნილი საკვების მისაღებად.

აღნიშნული კვების პროდუქტები რესპუბლიკაში შემოაქვთ სხვადასხვა ორგანიზაციებს, რის გამოც სხვადასხვა ასაკის ბავშვები პროდუქტს სხვადასხვა დროს მიიღებენ.

ცხინვალი. როგორც „იბერიის" კორესპონდენტისათვის გახდა ცნობილი, ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის მინისტრის მოადგილე ბაგრატ ხარებოვი ამ დღეებში შეხვდა აფხაზ სეპარატისტების ლიდერს ვლადისლავ არძინბას და ვრცელი ინტერვიუ აიღო მისგან. საუბარი შეეხო აფხაზეთსა და ოსეთის ურთიერთობას. არძინბამ აღნიშნა, რომ ომი, როგორც სამხრეთ ოსეთში, ასევე აფხაზეთში დაკავშირებულია ქართულ ნაციონალიზმთან, მის იმპერიულ პოლიტიკასთან. ოსების ბედი ბრძოლით განსხვავდება აფხაზების ბედისაგან. არძინბას განცხადებით, აფხაზეთში ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე მათ დასახმარებლად მოვიდნენ ოსები. ბევრი მათგანი ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა და დაკრძალულია აფხაზეთის მიწაზე. მათ აფხაზი ხალხი პატივს მიაგებს — განაცხადა ვლადისლავ არძინბამ.

ცხელი დღეები გავლილია

მომავალი კვირის პირველი დღეები საქართველოს მცხოვრებლებს დაახარებს მზიანი, თბილი, გრილი ამინდით, ამტკიცებენ რესპუბლიკის სინოპტიკოსები. მას კი, როგორც წლის დროის შესაფერია, შიგადაშიგ ღრუბლიანი დღეები, ხანმოკლე წვიმები, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ალაგ-ალაგ ჭექა-ქუხილი იქნება.

— ჰაერის ტემპერატურა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ბარში იქნება ცელსიუსით 23-დან 28 გრადუსამდე სითბო, — თქვა რესპუბლიკის ჰიდრომეტცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების წამყვანმა ინჟინერმა მარიამ ალექსიშვილმა. — ღამ-ღამობით კი თერმომეტრის სვეტი 13-18 გრადუსზე ქვემოთ არ დაიწევს. უფრო გრილი იქნება მთებში. აქ დღისით ჰაერის ტემპერატურა იქნება პლუს 17-24 გრადუსამდე. მაგრამ მაღალმთიანეთშიც კი ღამით თერმომეტრის ვერცხლისწყლის სვეტი 5-10 გრადუს ნიშნულზე ქვემოთ არ დაიწევს.

კვირის ცხელ დღეებში აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ქარის სიჩქარე მიაღწევს წამში 15-20 მეტრს. ეს იმის შედეგი იქნება, რომ დასავლეთიდან შემოიჭრება და რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდება ჰაერის შედარებით ცივი მასები.

კოტე ცხომელიძე.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

ყურადღება! ვისაც გსურთ გახდეთ ჟურნალისტი, დაეუფლოთ ამ მეტად რთულსა და საინტერესო პროფესიას, გირჩევთ მოაკითხოთ ქ. თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტს.

ჩვენი ინსტიტუტი ერთადერთია, სადაც სწავლა მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროგრამით და სასწავლო პროცესსაც ამავე ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები უძღვებიან.

ინსტიტუტში გაზეთ „სოფლის ცხოვრების" და რესპუბლიკის სხვა ჟურნალ-გაზეთებში მომუშავე გამოცდილი ჟურნალისტების ხელმძღვანელობით სტუდენტები სწავლის პროცესშივე ეუფლებიან წერილებზე, და საერთოდ, რედაქციაში მუშაობის ჩვევებს.

ჟურნალისტიკის ინსტიტუტი ამზადებს ფართო პროფილის ჟურნალისტებს, თეატრმცოდნე-ჟურნალისტებს და პირველად ჟურნალისტიკის ისტორიაში ეკონომისტ-ჟურნალისტებს — ჟურნალისტს ეკონომიკური ცოდნით, რაც ჰაერივით ესაჭიროება ჟურნალისტს საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მაშ, ასე, უკეთეს ვარიანტს ვერ აღმოაჩენთ,

ნუ დაკარგავთ დროს,

მოაკითხეთ თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტს (რობაქიძის პროსპექტი № 7ა). საბუთები მიიღება „სოფლის ცხოვრების" რედაქციაში კოსტავას ქ.№ 14, დილის 10 საათიდან, საღამოს 4 საათამდე.

იჩქარეთ, იჩქარეთ, იჩქარეთ!

ქ.თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება

ზურა ინწკირველი

ვეტერანი მოჭადრაკე

9 ენკენისთვეს 75 წელი შეუსრულდა არჩილ ჯაკობიას. მან ჯერ კიდევ ომამდე მოიპოვა პირველი თანრიგი, რაც იმდროისათვის ბევრს ნიშნავდა. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა. გადამდგარი პოდპოლკოვნიკი. ომის შემდეგ მონაწილეობდა თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებში. 14 წელი ხელმძღვანელობდა თბილისის ჭადრაკის ფედერაციას. ორჯერ იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჩემპიონი. პარტია პირველთანრიგოსან პოლკოვნიკ ტიმოფეევთან.

ჯაკობია-ტიმოფეევი: ძველინდური. თბილისი. 1951 წელი. 1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. f3 0-0 6. კe3 მbd7 7. ლd2 ეe8 8. კh6 კh8 9. 0-0-0 e5 10. მge2 c6 11. h4 ed 12. მd4 მe5 13. h5! მh5 14. ეh5! gh 15. g4! hg 16. f4 მf3? 17. მf3 gf 18. კh3! კh3 19. ეg1 კg2 20. ეg2! fg 21. ლg2 ტიმოფეევი დანებდა.

თინათინ ყველიაშვილი!

12 წლისაა. ადიგენის რაიონის სოფელ უდეს მკვიდრი, თბილისში მეცადინეობს ჭადრაკის სკოლაში კახა პეტრიაშვილთან (დირექტორი ჯონი ჯანაშია). მსოფლიო პირველობის პარტიების გაცნობამ დამანახვა ქართველი ბავშვების უპირატესობა. შთამბეჭდავია თინათინის რთული, ტაქტიკური შტრიხებით გაჯერებული სტრატეგიული პარტიები. ერთადერთმა წაგებამ ბოლო — მეთერთმეტე ტურში იგი ჩემპიონის ტიტულის მიღმა დატოვა. აქ წარმოდგენილ პარტიაში ნიჭიერი გოგონა საკმაოდ იოლად გაუსწორდა რუსეთის ჩემპიონს.

ყველიაშვილი-ზიმინა. პირცის დაცვა. ბრატისლავა, 1993 წელი. მკათათვე. 1. d4 მf6 2. მc3 d6 3. e4 მbd7 4. f3 c5 5. მge2 cd 6. მd4 g6 7. კe3 კg7 8. ლd2 h5 9. 0-0-0 მc5 10. მdb5 კd7 11. e5! მh7 12. ed მe6 13. de ლe7 14. მd6 მფf8 15. მf7! ლf7 16. ლd7 ეd8 17. ლf7 მფf7 18. კc4 ეhe8 19. კa7 მf6 20. ეhe1 ეc8 21. კb3 ეa8 22. კc5 ეac8 23. კb4 კh6 24. მფb1 კf4 25. g3 კc7 26. მb5 კb8 27. მd6 კd6 28. ეd6 ეc6 29. ეe6 ეe6 30. ეe6(!).

ქართველ ებრაელთა შემოქმედება

ებრაელებმა დიდი როლი შეასრულეს საჭადრაკო ხელოვნების განვითარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კომპაქტურად დასახლებულ არაქართველთაგან, მხოლოდ ებრაელსა და გერმანელს არ განუცხადებია პრეტენზია ქართულ მიწაზე და ცხოვრობდნენ ჩვენი სამშობლოს ინტერესებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი, უძლიერესი დიდოსტატი რომან ჯინჯიხაშვილი 1953 წლიდან ჩემთან მეცადინეობდა პიონერთა სასახლეში. 1967 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ბოტვინიკის დამარცხება მხოლოდ რომანმა შეძლო.

ჯინჯიხაშვილი (საქართველო)



ბოტვინიკი (მოსკოვი)

21... d4 22. ed cd 23. კb7 ლb7 24. b4 d3! 25. ეd3 ლa6 26. ეd7 ლe2 27. ეd8 კd8 28. ეd8 მფf7 და, ზუსტი თამაშით შესძლო მატერიალური უპირატესობის განაღდება.

მოჭადრაკე ფილოსოფოსი

ფრანგი ფილოსოფოსი და განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსო ჭადრაკის ტრფიალი იყო. მისი მშვენიერი მინიატიურა რომანტიკოს ოსტატთა შედევრებს გვაგონებს.

ჟან ჟაკ რუსო-პრინცი ლუი ფრანსუა კონტი. იტალიური. ციხე-დარბაზი ტრი, პარიზის მახლობლად, 1759 წელი. 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 კc5 4. c3 ლe7 5. d4 კb6 6. 0-0 d6 7. კg5 f6 8. კh4?! ეს მწვავე გაგრძელება დაკავშირებულია ფიგურის შეწირვასთან. 8... g5 9. მg5 fg 10. ლh5 მფf8 (10... მფd7 სვლას, ჯოაკინო გრეკოს (რომი, 1619) ერთ-ერთ პარტიაში მოჰყვა 11. კg5 ლg7? 12. კe6 მფe6 13. ლe8 მe7 14. d5) 11. კg5 ლg7 12. f4! ეს მახვილგონივრული ჩანაფიქრი ეფუძნება შეწირვათა სერიას. 12... ed 13. f5 dc 14. მფh1 cb? (ცდუნება მეტისმეტად დიდია! საჭირო იყო 14... მe5! თუ ახლა 15. f6, მაშინ 15... მc4! ან 15. კg8 h6!) 15. კg8 a1ლ. პაიკის თავბრუდამხვევი კარიერა საქმეს ვერ შველის. 16. f6!! ირკვევა, რომ შავი ლაზიერის დუეტი უძლურია, იხსნას მეფე, და ამიტომ პრინცი დანებდა. საინტერესოა, რომ, 16... მფg8 17. fg კe6 18. gh ლh8 19. კf6, შემდეგ ლაზიერს ინარჩუნებენ მხოლოდ თეთრები.

უეფამ გული დაგვწყვიტა

მთელი საქართველოს ფეხბურთის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ ცნობას ციურიხიდან, სადაც უეფას შტაბ-ბინაში უნდა განხილულიყო თბილისის „დინამოს" აპელაცია, მისი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის 1993-1994 წლების გათამაშებიდან მოხსნის თაობაზე. სამწუხაროდ, უეფამ ჩვენთვის არასასიამოვნო საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო: თბილისის „დინამო" მოიხსნა წლევანდელი გათამაშებიდან. ამასთან, იგი ვერც გაისად გამოვა ევროპის ჩემპიონთა თასის ტურნირში (თუკი მოიპოვებს საქართველოს ჩემპიონობას). შეღავათი ისაა, თუ საქართველოს V ეროვნულ ჩემპიონატში რესპუბლიკის სხვა გუნდი მოიპოვებს პირველ ადგილს, გაისად შემოდგომაზე იგი გამოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

ფეხბურთი

ევროპის სხვადასხვა ჯგუფებში გაიმართა მსოფლიო XV ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები. შოტლანდიის ნაკრებმა (პირველი ჯგუფი) თავის მოედანზე შვეიცარიის ნაკრები მიიღო. მატჩის შედეგია ფრე — 1:1. ბურთები გაიტანეს კოლინზმა (შოტლანდია) და ბრეგმა (შვეიცარია). 8 თამაშიდან შვეიცარიელებს 13 ქულა აქვთ და ისინი შეჯიბრების ლიდერები არიან. მეორე ჯგუფში წინ არის ნორვეგიის ნაკრები, რომლებთაც 7 თამაშიდან 12 ქულა აქვთ. ინგლისის ნაკრებმა შინ (3:0) დაამარცხა პოლონეთის ნაკრები და 11 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მესამე ჯგუფში 7 გუნდი გამოდის. 17 ქულით წინ არის ირლანდიის ნაკრები, რომელმაც თავის მინდორზე 2:0 დაამარცხა ლიტვის გუნდი. ალბანელებმა თავის მოედანზე 0:1 დათმეს ევროპის ჩემპიონებთან — დანიელებთან. ამავე ჯგუფში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა 2:0 სძლია ლატვიის გუნდს. მეოთხე ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული აქვთ ბელგიელებს. უელსის ეროვნულმა ნაკრებმა თავის სტადიონზე ფრედ —2:2 დაასრულა მატჩი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან. ფარერის კუნძულების ნაკრებმა თავის მინდორზე 0:4 წააგო რუმინეთის ფეხბურთელებთან. V ჯგუფში რუსებმა ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე" 3:1 დაამარცხეს უნგრელები, რომლებმაც ძალიან სუსტი ნაკრების შთაბეჭდილება დატოვეს. რუსებმა უკვე გაინაღდეს ამერიკის საგზური. მათ 1 მატჩი აქვთ ჩასატარებელი და 12 ქულით ჯგუფის ლიდერები არიან. დასასრულს VI შესარჩევ ჯგუფში ფინეთის ნაკრებმა შინ 0:2 წააგო ფრანგებთან. ბურთები გაიტანეს ბლანმა და პაპენმა, რომელმაც ზუსტად შეასრულა 11-მეტრიანი საჯარიმო. ამავე ჯგუფში ფრე — 1:1 აღინიშნა სოფიაში, სადაც ბულგარელები შვედებს მასპინძლობდნენ. ამერიკის საგზურები თითქმის განაღდებული აქვთ ფრანგებსა და შვედებს. პირველ მათგანს 13, ხოლო მეორეს 12 ქულა აქვს.

ორი მსოფლიო ჩემპიონატი

ლონდონში და ჰოლანდიაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატები ჭადრაკში ვაჟთა შორის. ინგლისის დედაქალაქში მსოფლიოს ჩემპიონი გარი კასპაროვი მეორე პარტიაში ყაიმზე შეუთანხმდა დიდოსტატ ნაიჯელ შორტს (ინგლისი). 2 პარტიის შემდეგ ანგარიშით — 1,5:0,5 წინ არის კასპაროვი.

ყაიმით 53-ე სვლაზე დასრულდა მატჩის მესამე პარტია ჰოლანდიაში, სადაც ერთმანეთს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ა. კარპოვი და ჰოლანდიელი იან ტიმანი ხვდებიან. 3 პარტიის შემდეგ ანგარიში საყაიმოა — 1,5:1,5.

სურსათის ფასები თბილისის ბაზრებში

10 სექტემბრის მონაცემებით (კუპონებით)

საქონლის ხორცი — 20 000-25 000; ღორის — 25.000-30 000; ცხვრის — 18 000-20 000; გოჭის — 80 000-170 000; ყველი (იმერული) — 18 000-20 000; სულგუნი — 22 000-30 000; თუშური — 23 000-30 000; რძე — 3 000; მაწონი 0,5 ლ. — 1 500-2.000; ფრინველი — 10 000-40 000; კვერცხი — 400-500; სიმინდის ფქვილი — 4 000-5 000; მწვანე ლობიო — 2 000-2 500; ხმელი ლობიო — 4 000-6 000; ზეთი მცენარეული — 12 000; კარტოფილი — 2 500-3.000.

კარიკატურისტის თვალით



მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

ეს ჩვენი საქართველოა!

ღმერთო, სამშობლო გვიცოცხლე!

სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

უჩვენებს თბილისი

ეთერშია საქართველო

შაბათი

11 სექტემბერი

10.05 — ბასტი-ბუბუს აეირობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმები. 10.35 — ქართული მხატვრული ფილმი „[illegible]". 12.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — **დრონი** — სატელევიზიო პროგრამა. 15.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 15.30 — სპა. 16.00 — წრე. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.10 — ხელოვნების ლექტორიუმი. 17.40 — ქართული საესტრადო მუსიკის კონცერტი. 18.50 — ნოტა ბენე. 19.20 პატარა ამბები დიდ თემებზე. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — პულსი — სატელევიზიო პროგრამა. 21.05 — დოკუმენტური ფილმი. 21.25 — **საუბრები ბიბლიაზე.** 22.00 — [illegible]. 23.45 — **ქვეყნის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

კვირა

12 სექტემბერი

10.05 — ბასტი-ბუბუს აეირობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.40 — მხატვრული ფილმი „საოცარი ტყე". 12.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — საკვირაო გამოფენა. 12.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 12.35 — დღეს რუსთაველის დრამატულ თეატრში სპექტაკლია... 13.20 — საკვირაო გამოფენა. 13.30 — ქართული მელოდიები. 13.55 — საკვირაო გამოფენა. 14.05 — **ხიტუპა საქართველოზე.** 15.05 — მხატვრული ფილმი „მელოდრამა". 16.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — [illegible] 18.05 — [illegible] 18.35 — [illegible] 19.05 — [illegible] 20.50 — [illegible] მაგეუხი — [illegible] პროგრამა. 22.00 — [illegible] ფილმი. 23.45 — ქვეყნის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

13 სექტემბერი

7.25 — [illegible] 9.00 — [illegible] 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-[illegible] პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — [illegible] 17.50 — [illegible] 18.30 — [illegible] 19.00 — [illegible] 19.25 — [illegible] 19.45 — [illegible] 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — [illegible] 20.50 — [illegible] 21.40 — [illegible] კონცერტი. 21.55 — [illegible] 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — [illegible] — მხატვრული ფილმი „[illegible]". 23.55 — **ქვეყნის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 14 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე ჩათვლით უნივერმაღ „თბილისში" ([illegible] მოედანთან) ტარდება ირანის ისლამური რესპუბლიკის ფირმა „ფარახამ-კალას" და უნივერმაღ „თბილისის" საქონლის ერთობლივი გამოფენა-გაყიდვა.

გამოფენა-გაყიდვა იწარმოებს
10 საათიდან — 19 საათამდე.

გამოფენა-გაყიდვის პირველ დღეს საგანგებო მომსახურება გაეწევათ პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ მთაწმინდის რაიონის მოქალაქეებს, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ჩამოსულ ლტოლვილებს, შემდეგ დღეებში კი ნებისმიერ მოქალაქეებს.

ქ. თბილისის მერიის ვაჭრობისა და მომსახურების სამმართველო

საშუამავლო-კომერციული ფირმა «რენესანსი»

დაგეხმარებათ ინტერიერის კომფორტულად მოწყობაში. იმპორტული ავეჯის, რადიოტელეაპარატურის და სხვა საჭირო ნივთების შეძენა-გაყიდვაში.

ფირმა ეფექტური და უსაფრთხო მომსახურების გარანტიას იძლევა

ჩვენი მისამართია: სულხან-საბას ქ. № 4
წინათ გამოქვეყნებული ტელეფონები შეცდომით იყო დაბეჭდილი, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.
ისარგებლეთ შემდეგი ტელეფონებით:
93-52-63, 23-58-55 (საღამოს).

ხსოვნა

მიხეილ იოსელიანი

გარდაიცვალა სამომხმარებლო კოოპერაციის ღვაწლმოსილი მუშაკი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, აგროფირმა „თამარისის" გენერალური დირექტორი **მიხეილ გიორგის ძე იოსელიანი.** რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციას გამოაკლდა დიდად გამოცდილი, პრინციპული ხელმძღვანელი, ჩინებული მეურნე და ბრწყინვალე ორგანიზატორი, შემოქმედი, ნოვატორი მუშაკი, რომელმაც სამ ათეულ წელზე მეტი თავისი მასშტაბური, მრავალმხრივი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა კოოპერაციული ქსელის მრეწველობის დარგის აღორძინებაში, სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის ახალი მიმართულების [illegible].

ბუნებით მომადლებული ადამიანური ღირსებებით, კოლეგიალური, უბრალო, კომუნიკაბელური თვისებებით იგი გამორჩეული ხელმძღვანელი გახლდათ, ამიტომაც დიდი პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მ. იოსელიანს ბადალი არ ჰყავდა საქველმოქმედო საქმიანობაში. იგი ახალგაზრდობის დიდი მეგობარი იყო, გარშემო იკრებდა საქმიან, ახალგაზრდა თანამოაზრეებს და სამომავლო გზას ულოცავდა კოოპერაციულ ცხოვრებაში სამუშაოდ. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის კოოპერაციაში მრავალდარგოვანი ინტეგრაციის პროცესის დანერგვაში.

ბევრი საინტერესო ჩანაფიქრის ავტორი იყო ბატონი მიხეილი — მაძიებელი ინჟინერ-ტექნოლოგი. სამწუხაროდ, მან მათი განხორციელება არ დასცალდა, არადა, როგორ გამოადგებოდა მათი რეალიზაცია სამომხმარებლო კოოპერაციას.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი მამულიშვილი, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება, რომელმაც ფირმა „თამარისის" სახით ღირსეული მემკვიდრეობა დაუტოვა კოოპერაციას. სისტემის მრავალათასიანი კოლექტივი პატივს მიაგებს მის ნათელ ხსოვნას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს.

ცეკავშირის გამგეობა, ცეკავშირის საბჭო, ცეკავშირის აგროსამრეწველო-სავაჭრო ფირმა „თამარისი".

გიორგი კვაჭაძე

ქართულმა აგრონომიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მის რიგებს გამოაკლდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **გიორგი კვაჭაძე.**

რთული და საინტერესო ცხოვრება განვლო ბატონმა გიორგიმ. იგი დაიბადა 1909 წელს ქალაქ ჭიათურაში. სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა ჭიათურის მაღაროებში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1928 წლიდან სწავლა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელსაც 1931 წელს ამთავრებს. 1937 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1938 წლიდან მებოსტნეობის კათედრის დოცენტია, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მუშაობდა ყარაიაზის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. შემდეგ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის დირექტორად. 1947 წლიდან ბრუნდება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც მოღვაწეობდა გარდაცვალებამდე. 1960 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება, გამოქვეყნებული აქვს 76-მდე სამეცნიერო შრომა და მათ შორის 6 სახელმძღვანელო და 7 მონოგრაფია.

ამაგდარი პედაგოგისა და მეცნიერის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების და აღზრდილების გულში.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამუშავების სამინისტრო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

საქართველოს დეპარტამენტი „საქგაზი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

ჯუმბერ ალექსანდრეს ძე დუმბაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 11 სექტემბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	10,112.77	კუპონი
ავსტრიული შილინგი	1,354.26	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	23,717.53	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	4,382.42	კუპონი
გერმანული მარკა	9,532.11	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	8,481.46	კუპონი
დანიური კრონი	2,305.20	კუპონი
100 იტალიური ლირა	985.21	კუპონი
კანადური დოლარი	11,685.59	კუპონი
ნორვეგიული კრონი	2,181.87	კუპონი
აშშ დოლარი	15,404.00	კუპონი
ფინური მარკა	2,690.61	კუპონი
ფრანგული ფრანკი	2,706.04	კუპონი
შვედური კრონი	1,932.91	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	10,868.62	კუპონი
10 იაპონური იენი	1,461.53	კუპონი
ეკიუ	17,988.72	კუპონი
10 ესპანური პესეტა	1,173.20	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	668.79	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	22,081.59	კუპონი
ისლანდიური კრონი	222.26	კუპონი
ქუვეითური დინარი	51,532.25	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	89.37	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	927.64	კუპონი
სინგაპურული დოლარი	9,615.46	კუპონი
10 თურქული ლირა	13.12	კუპონი
ს.დ.რ.	21,893.13	კუპონი
100 რუსული მანეთი	1275.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	3,181.13	კუპონი
ლატვიური ლატი	20,294.18	კუპონი
ესტონური კრონი	984.30	კუპონი
1000 უკრაინული კარბოვანეცი	969.00	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი

მთავარი რედაქტორი **გურამ გოგიაშვილი.**

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66484